ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

ტფილისი.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კრონშტეინის ქუჩა, № ... ტელეფონი 14—76. სტამბის — ...
რედაქცია ღია არის ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

სამშაბათი, 12 ივლისი 1921 წ.

№ 106 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 106

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტელიგენცია და „სპეცები".

უკმაყოფილოა ჩვენი „ინტელიგენცია" და ამიტომ ხშირათ „გვითითებს" იგი სხვა და სხვა „მოთხოვნებზე".

რა გაეწყობა: ვისაც რა აწუხებს, მისი ენაც იმას იძახის.

საჭიროა მხოლოდ ერთხელ და საბოლოოთ განმარტებულ იქნას ყველას გასაგონათ, თუ რა არის ეს ინტელიგენცია საზოგადოთ, ისტორიულათ და ვინ არის კერძოთ ჩვენი „ინტელიგენცია".

მოგეხსენებათ ყოველ ეპოქაში სოციალურ ცხოვრებას ხელმძღვანელობს გაბატონებული კლასების ზედაპირი, სხვა ჯგუფებზე უფრო გაწრთვნილ-მომზადებული ამ როლისათვის. და აი ეს გაბატონებული კლასების ზედაპირი, სხვა ჯგუფებზე უფრო გაწრთვნილ მომზადებული ბატონობისათვის, ე. ი. ეპოქის უმაღლესი კულტურის მატარებელი ანუ იდეოლოგები არის ის ინტელიგენცია, რომელიც დღემდე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „ქვეყნის მარილათ" ითვლება. მაგრამ ამასთან ისიც ვიცით, რომ რამდენათაც სოციალური ცხოვრება განვითარდა, იმდენათ ინტელექტუალური შრომა დანაწილდა, დაიყო სხვა და სხვა სპეციალურ დარგებათ. ერთ დროს ეს სპეციალისტები ისე დაშორდენ თავთავიანთ დარგებში, რომ ერთი მეორის არა ეყურებოდათ რა.

აქედან კვლავ წარმოსდგა საჭიროება კვლავ გაერთიანებისა. ისევ საჭირო შექნა „საერთო განათლება" და სხვა, რომ საზოგადოება არ დაშლილიყო და ბურჟუაზიულ ქვეყანას „სპეციალისტებით" შესაფერათ ესარგებლნა.

ამნაირათ გაჩნდენ ქვეყნათ საშუალო, ანუ საერთო განათლების ინტელიგენტები და მაღალი განათლების „სპეცები". ეს ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით საერთო განათლება იმდენათ სახალხო გახდა, რომ იგი ხელმისაწვდომი შექნა გაბატონებული წრეების გარდა „უბრალო ხალხის" შვილებისთვისაც.

აქედან საჭიროზე მეტათ გამრავლდა ინტელიგენცია და მასთან მისი შემადგენლობაც მეტათ შეიცვალა: შედარებით „გადემოკრატდა". გლეხის და მზარეულის შვილები ბლომათ შევიდა ამ ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ჯგუფში და ამნაირათ თითქო იგი „გაპროლეტარდა".

ინტელიგენტთა შორის გაჩაღებულმა კონკურენციამ კიდევ უფრო გაპროლეტარა მისი ზოგი წრეები და ამნაირათ მოიპოვა მან მოქალაქობრივი უფლება, რომ ეწოდებიათ მისთვის „პროლეტარული".

ამ მომენტიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი მხრით ქვეყნათ მრავლდება ეგრეთ წოდებული ეს „პროლეტარული ინტელიგენცია", ხოლო მეორე მხრით —სხვა და სხვა დარგის სპეციალისტი ინტელიგენტები, მოკლეთ „სპეცები". ალბათ ამით აიხსნება, რომ ბურჟუაზიულმა ევროპამ სულ დაივიწყა საერთო სიტყვა ინტელიგენცია და ხმარებაშია მხოლოთ სიტყვები: სახელმწიფო მოღვაწე, ბიუროკრატი, სპეციალისტი და სხვა.

ყოველ კლასს თავისი იდეოლოგია აქვს და ამ იდეოლოგიის გამომხატველი კიდევ არის ინტელიგენცია. აქედან ყოველ კლასს ჰყავს თავისი ინტელიგენცია.

მას შემდეგ, რაც მუშათა კლასის მოძრაობა იდეოლოგიურ ფორმებში გამოიხატა, ქვეყნათ მუშათა კლასის ინტელიგენციაც გაჩნდა.

მაგრამ, ცხადია, როგორც სხვა კლასის ინტელიგენციაში შთამომავლობით შეიძლება შედიოდეს როგორც მაღალი, ისე მდაბალი, დაჩაგრული კლასიდან, ასევე მუშათა კლასის ინტელიგენციაც შეიძლება შედგეს როგორც მაღალი, ისე მდაბალ წრეების წარმომადგენლებისაგან.

მხოლოთ აქ საყურადღებო ისაა, რომ ინტელიგენცია შთამომავლობით სხვა და სხვა გვარი და შერეული ხდება ერთი განსაზღვრული ისტორიული კლასის და იდეოლოგიის გამომხატველი.

ამიტომ იყო, რომ რუსეთში, როცა კიდევ ინტელიგენციას აშკარა კლასობრივი სახე არა ჰქონდა, მას „მესამე ელემენტი" უწოდეს. ხოლო დღეს დიდი რევოლიუციის ხანაში, როცა ეს „მესამე ელემენტი" გამოირკვა და ბურჟუაზიის მხარეზე აშკარათ დადგა „მესამე ელემენტს" მას აღარავინ ეძახის, მას პირდაპირ ბურჟუაზიულს უწოდებენ და ბურჟუაზიასთან ერთათ ერეკებიან.

მაგრამ ეს არ ითქმის არც „სპეცებზე" საერთოთ და არც ჩვენს „ინტელიგენტებზე" კერძოთ.

„სპეცები" საერთო კლასობრივ იდეოლოგიას იმდენათ დაშორებული არიან, იმდენათ ჩაფლულნი არიან „სპეციალურ" დარგში, რომ მათი კლასობრივი ხასიათი, რანაირ მოწინააღმდეგე კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდენ ისინი, მავნებელი მაინც ვერ გახდებიან: მისი კლასობრივობა კბილმოჭრილია სპეციალობით.

ამიტომ არის, რომ პროლეტარული სახელმწიფო თამამათ და სრული ნდობით მიმართავს მათ და სურს მათი სპეციალობით ისარგებლოს.

რაც შეეხება ჩვენს „ინტელიგენციას", აქ საქმე, ცოტა არ იყოს, საეჭვოა! ჩვენი ინტელიგენცია უნდა ითქვას, რომ მეტად „ჭრელია": იგი ჭრელია შთამომავლობითაც და იდეოლოგიურადაც.

თქვენ ნახავთ ჩვენში: ინტელიგენტ გლეხს, თავადს, მღვდელს, ბერს და მუშას. ნახავთ აგრეთვე: ინტელიგენტს უკიდურეს მონარქისტს ან უკიდურეს მემარცხენე ანარქისტს,—საერთოდ კი ნაციონალისტ სოციალისტს. უკიდურესებს რომ თავი დავანებოთ და მხედველობაში არ მივიღოთ, ხელში გვრჩება ნაციონალისტ სოციალისტი, რომელიც ჩვეულებრივათ „სპეციც" არის და საერთო განათლების პატრონიც, განსაკუთრებით ნაციონალური მხრით.

ამნაირათ ჩვენ წინაშე დგას მეტად უხერხული საკითხი: როგორ იქნას გამოყენებული ქართველი „სპეცი", როცა ის იმავე დროს „ქართველი ინტელიგენტიც" არის, ე. ი. როცა ის „სპეციც" არის და ნაციონალისტიც (თუმცა თავის თავს სოციალისტს უწოდებს).

არ უნდა გვავიწყდებოდეს, თუ რას ნიშნავს ეს ნაციონალისტ-სოციალისტობა. ეს ხომ იგივე კლასიური იდეოლოგიის გამოხატულებაა, ეს ხომ არა „სპეცობაა", არამედ „პოლიტიკანობა" და მაშასადამე საბჭოთა რესპუბლიკაში ანტიპროლეტარული მოღვაწეობის გაჩაღება?

ჩვენ ვერც თავს მოვატყუებთ და არც გვსურს სხვა მოვატყუოთ.

ამიტომ ვამბობთ: ქართველ „ინტელიგენციას" სრულ ნდობას ვუცხადებთ იმდენათ, რამდენათაც ისინი წარმოადგენენ „სპეცებს", ხოლო რამდენათაც ისინი გამოხატავენ ნაციონალისტ-სოციალისტს, მათ ჩვენ ვებრძვით, ვინაიდან, როგორც ასეთნი, ისინი არიან ჩვენი კლასობრივი მტრები და ჩვენც ვხელმძღვანელობთ ქართული თქმულებით: „მტერს მტრულათ ვუხვდებით, ხოლო მოყვარეს მოყვრულათ"!

კომუნიზმის მორიგი ამოცანები საქართველოში და ამიერკავკასიაში.

(ამხ. ჯუღაშვილი სტალინის მოხსენება საქ. კომ. პ რტ. ტფილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე 6 ივლ. 1921 წ.)

ამხანაგებო! თქვენი ორგანიზაციის კომიტეტმა დამავალა გამოვიდე თქვენს წინაშე მოხსენებით კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოში. კომუნიზმის მორიგი ამოცანები-ეს ტაქტიკის საკითხებია. მაგრამ პარტიის, და მით უფრო მმართველი პარტიის ტაქტიკის გამოსარკვევად პირველ ყოვლისა საჭიროა განსაზღვრა იმ საერთო პირობების, რომელშიაც უხდება, მოქმედება პარტიას და რომელსაც არ შეიძლება არ გაეწიოს ანგარიში. როგორია ეს გარე პირობები?

ორი მოპირდაპირე ბანაკი.

ზედმეტია იმის მტკიცება რომ სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე ქვეყნები გაიყო ორ მოპირდაპირე ბანაკად. ერთი მხრით ბანაკი იმპერიალიზმის ანტანტას მეთაურობით, მეორე მხრით კი ბანაკი სოციალიზმის საბჭოთა რუსეთის წინამძღოლობით. პირველ ბანაკში თავი მოუყრია ყველა და ყოველგვარ კაპიტალისტურ, დემოკრატიულ და მენშევიკურ სახელმწიფოებს, მეორეში-საბჭოთა სახელმწიფოებს და მათ შორის საქართველოსაც. დამახასიათებელი თვისება იმ გარეპირობების, რომელშიაც იმყოფებიან ამ ჟამად საბჭოთა სახელმწიფოები, არის ის, რომ ხანა შეიარაღებული ბრძოლის დასახელებულ ორ ბანაკ შორის დასრულდა ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ შერიგებით, ხანა ომიანობისა შესცვალა საბჭოთა რესპუბლიკების მშვიდობიან სამეურნეო აღმშენებლობის ხანამ. წინეთ, ე. წ. სამხედრო ხანაში საბჭოთა რესპუბლიკების მოქმედების ლოზუნგი იყო: „ყველაფერი ომისათვის". ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკები მაშინ წარმოადგენდენ ალყა შემორტყმულ ბანაკს იმპერიალისტურ სახელმწიფოების მიერ ბლოკადაში მოქცეულს. იმ ხანაში კომუნისტური პარტიის მთელი ენერგია უნდებოდა იმას, რომ ყველა ცოცხალი ძალები მოხმარებოდა წითელი არმიის მოწყობას და ფრონტის გაძლიერებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის საწარმოებლად. რა თქმა უნდა პარტიას არ შეეძლო იმ ხანაში მთელი თავისი ყურადღება სამეურნეო აღმშენებლობაზე მიეპყრო.

შეიძლება ითქვას, და ეს არ იქნება გადამეტებული, რომ იმ ხანად საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკა განისაზღვრებოდა სამხედრო ინდუსტრიის განვითარებით და აქა იქ სახალხო მეურნეობის ზოგი დარგის ასე თუ ისე შენარჩუნებით და ისიც იმ დარგების, რომელიც დაკავშირებული იყო ომთან. სწორედ ამით აიხსნება ის არევ დარევა და დაქვეითება მეურნეობის, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო ხანამ.

„ყველაფერი სახალხო მეურნეობისათვის"

ახლა კი, როცა ჩვენ შევედით სამეურნეო აღმშენებლობის ახალ ხანაში, როცა ომიანობის შემდეგ ჩვენ გადავედით მშვიდობიან მუშაობაზე, ძველი ლოზუნგი „ყველაფერი ომისათვის!" ალაგს უთმობს ბუნებრივათ ახალ ლოზუნგს; „ყველაფერი სახალხო მეურნეობისათვის!" ეს ახალი ხანა ავალებს კომუნისტებს ყველა ძალები მიაშველონ სამეურნეო ფრონტს, მრეწველობას, სასოფლო მეურნეობას, სასურსათო საქმეს, კოოპერაციას, ტრანსპორტს და სხვ., ვინაიდან უამისოთ შეუძლებელია სამეურნეო არევ-დარევის დაძლევა.

ახალი ტიპი კომუნისტისა.

თუ სამხედრო ხანამ ჩვენ მოგვცა ტიპი კომუნისტისა, რომელიც დახელოვნებული იყო სამხედრო საქმეში, მომარაგების საქმეში, იყო მომწყობი სხვა და სხვა ორგანიზაციების, იყო ოპერატორი და სხ., ახლა კომუნისტურ პარტიამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ახალს, მეურნეობის აღმშენებლობის ხანაში, ხალხის ფართო მასსების ამ აღმშენებლობის ჩარევასთან ერთად, გამოიმუშაოს კომუნისტის ახალი ტიპი, რომელიც ხელმძღვანელი იქნება მეურნეობის, იქნება მომუშავე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, კოოპერაციაში და სხ.

ვისთან გვაქვს საქმე შინ და გარეთ?

მაგრამ კომუნისტებს, როცა ისინი აჩაღებენ სამეურნეო აღმშენებლობის მუშაობას, არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ ორ მეტად მნიშვნელოვან პირობას, რომელიც წარსულმა გვიანდერძა. ეს პირობებია: ერთი ის, რომ საბჭოთა ქვეყნებს გარს არტყია მრეწველობის მხრით უმაღლესად განვითარებული ბურჟუაზიული სახელმწიფოები, და მეორეც ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოების შიგნით არის მრავალრიცხოვანი გლეხური წვრილი ბურჟუაზია. საქმე იმაშია, რომ ისტორიამ ინება საბჭოთა ძალაუფლების გამარჯვება და განმტკიცება არა უფრო განვითარებულ ქვეყნებში, არამედ შედარებით უფრო ნაკლებ კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებში, როგორც რუსეთი მისი შედარებით ახალგაზრდა კაპიტალიზმით, მისი ძლიერი, სამრეწველო ცენტრებში თავმოყრილი პროლეტარიატით და სუსტი ნაციონალური ბურჟუაზიით, უფრო ადვილია ბურჟუაზიის ჩამოგდება და დამარცხება, ვინემ კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყნებში, როგორც გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი, სადაც კაპიტალიზმი საუკუნოებით არსებობს, ხოლო ბურჟუაზია გადაქცეულა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად სერიოზულ ხელმძღვანელ ძალად.

როდესაც პროლეტარული დიქტატურა დამკვიდრდება ისეთ ქვეყნებშიც, როგორც გერმანია და ინგლისი, უეჭველია იქ უფრო ადვილი იქნება სოციალისტური რევოლიუციის გაგრძელება და დაგვირგვინება, ე. ი. იქ ადვილი იქნება სოციალისტური მეურნეობის მოწყობა, ვინაიდან იქ მრეწველობა უფრო განვითარებულია, ტეხნიკა მდიდარი, ხოლო პროლეტარიატი უფრო მრავალ რიცხოვანი, ვიდრე არსებულ საბჭოთა ქვეყნებში.

მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენ ვდგევართ იმ ფაქტის წინ რომ ერთი მხრით პროლეტარიატის დიქტატურა არსებობს იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობა ნაკლებ არის განვითარებული, ხოლო კლასი წვრილ საქონლის მწარმოებელთა (გლეხები) მრავალრიცხოვანია, მეორე მხრით კი ბურჟუაზიის დიქტატურა გრძელდება იმ ქვეყნებში, რომლებიც მრეწველობის მხრით უფრო დაწინაურებული არიან და სადაც პროლეტარიატი უფრო მრავალ რიცხოვანია. ამ ფაქტების უყურადღებოთ დატოვება უგუნურობა და ფუქსავატობა იქნებოდა.

დროებითი შეთანხმება აუცილებელია

რამდენათაც საბჭოთა ქვეყნებში მდიდარი არიან ნედლი და სათბობი მასალით, ბურჟუაზიული სამრეწველო ქვეყნებში კი გასაჭირს განიცდიან ამ მასალის ნაკლებობის გამო, უეჭველია რომ ცალკე კაპიტალისტური ჯგუფები ამა თუ იმ ბურჟუაზიულ სახელმწიფოსი დაინტერესებული არიან საბჭოთა სახელმწიფოებთან შეთანხმებაში ნედლი და სათბობი მასალის გამოსაყენებლის მიზნით განსაზღვრულ კონცესიურ პირობებში. მეორე მხრით, რამდენათაც კლასს წვრილ მწარმოებელთა საბჭოთა სახელმწიფოების შიგნით (გლეხობა), ესაჭიროება ინდუსტრიის ნაწარმოები (ფართლეული, სამეურნეო მანქანები და სხ.), უეჭველია, რომ ისიც დაინტერესებულია თავის საკუთარ ქვეყნის პროლეტარულ ხელისუფლებასთან შეთანხმებაში საჭირო პროდუქტების მისაღებად ნაწარმოების გაცვლა გამოცვლის საფუძველზე (სოფლის მეურნეობის საგნების გადაცვლით). საბჭოთა ხელისუფლება თავის მხრით აგრეთვე დაინტერესებულია იმაში, რომ დროებით შეუთანხმდეს როგორც უცხო ქვეყნების ცალკე კაპიტალისტურ ჯგუფებს, ისე თავისი საკუთარი ქვეყნის წვრილ მწარმოებლებს, ვინაიდან ასეთი შეთანხმება უეჭოთ დააჩქარებს და გაადვილებს ომით განადგურებულ საწარმოო ძალთა აღორძინებას და განახორციელებს ელექტროფიკაციისას, რაიც წარმოადგენს საფუძველს მომავალ სოციალისტური მეურნეობისას.

ასეთი გარემოებანი უკარნახებენ კომუნისტებს პოლიტიკას დროებითი შეთანხმებისას როგორც დასავლეთის ცალკე კაპიტალისტურ ჯგუფებთან (მათი კაპიტალების და ტეხნიკურ ძალთა გამოსაყენებლათ), ისე საკუთარი ქვეყნის წვრილ ბურჟუაზიასთან (საჭირო ნედლი მასალის და სურსათის შესაძენათ).

ასეთი შეთანხმება შორსაა მენშევიკების ბურჟუაზიასთან შეთანხმებისაგან.

ზოგმა შეიძლება სთქვას, რომ ასეთ ტაქტიკას ბურჟუაზიასთან შეთანხმებისას მენშევიზმის ბეჭედი აზის, რაკი მენშევიკები თავის მოქმედებით ახორციელებენ ბურჟუაზიასთან შეთანხმების ტაქტიკასი. მაგრამ ეს სრულიად უსაფუძვლო წარმოდგენა იქნებოდა, კომუნისტების ახლანდელ შეთანხმებელ ტაქტიკასი და მენშევიკების შეთანხმებელ ტაქტიკას შუა მთელი უფსკრულია. ჩვეულებრივათ მენშევიკები მხარს უჭერენ ბურჟუაზიასთან შეთანხმებას მაშინ, როცა ძალაუფლება კაპიტალისტების ხელშია, როცა ძალაუფლების მატარებელი კაპიტალისტები თავისი ძალაუფლების გასამაგრებლათ და პროლეტარიატის გასარყვნელად, მაინც და მაინც არ არიან წინააღმდეგნი ზემოდან უბოძონ პროლეტარიატის ცალკე ჯგუფებს ცოტაოდენი „რეფორმები", რამდენიმეთ დაუთმონ მათ. ასეთი შეთანხმება საზიანოა პროლეტარიატისათვის, ხოლო სასარგებლო ბურჟუაზიისათვის, ვინაიდან ასეთი შეთანხმება კი არ ასუსტებს ბურჟუაზიის ძალაუფლებას, პირიქით აძლიერებს მას, პროლეტარიატში კი შეაქვს უთანხმოება და გათიშვა. სწორეთ ამიტომ ბოლშევიკები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან მომავალშიაც წინააღმდეგი მენშევიკური ტაქტიკის, რომელიც გამოიხატება ძალაუფლებასთან მდგომ ბურჟუაზიასთან შეთანხმებაში. სწორედ ამიტომ ბოლშევიკები უყურებენ მენშევიკებს როგორც გამტარებელთა ბურჟუაზიის გავლენისა პროლეტარიატზე.

ბოლშევიკების ტაქტიკას, წინააღმდეგ მენშევიკური ტაქტიკისა, სრულიად სხვა ხასიათი აქვს, ვინაიდან ის გულისხმობს სრულიად განსხვავებულ პირობებს. როცა ძალაუფლება პროლეტარიატის და არა ბურჟუაზიის ხელშია, და ამასთანავე შეთანხმებას ცალკე ბურჟუაზიულ ჯგუფებთან აუცილებლათ თან სდევს ერთი მხრით გამაგრება პროლეტარული ძალაუფლების და მეორე მხრით გახრწნა-მოშინაურება ბურჟუაზიის ზოგი ერთ ჯგუფების. საჭიროა მხოლოდ რომ პროლეტარიატს მაგრად ეჭიროს ხელში მოპოვებული ძალაუფლება და მოხერხებულად გამოიყენოს ამ ბურჟუაზიულ ჯგუფების საშუალებები და ცოდნა ქვეყნის სამეურნეო აღორძინების საქმეში. როგორც ხედავთ ეს ტაქტიკა როგორც ცა დედამიწისაგან ისე დაშორებულია მენშევიკების ტაქტიკისაგან.

მაშ ასე. ყველა ცოცხალი ძალების თავმოყრა სამეურნეო ფრონტზე, ამასთანავე გამოყენება შეთანხმების ხაზით ცალკე ბურჟუაზიული ჯგუფების, მათი საშუალებების, მათი ცოდნის, მათი ორგანიზაციული უნარის ქვეყნის მეურნეობის აღორძინებლათ—ასეთია პირველი მორიგი ამოცანა კომუნისტების საბჭოთა ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოშიც, რასაც გვკარნახებს საერთო გარეპირობები.

საჭიროა საბჭოთა ქვეყნების ფრონტის გაერთიანება.

მაგრამ საერთო პირობების აწონ-დაწონა არ კმარა საბჭოთა ქვეყნების ტაქტიკის გამოსამუშავებლათ, ამ შემთხვევაში საბჭოთა საქართველოში. თითეული საბჭოთა ქვეყნის კომუნისტების განსასაზღვრავად აუცილებელია აწონ დაწონა და გარკვევა ამ ქვეყნების ყოფა მდგომარეობის კერძო, კონკრეტიული პირობების. როგორია ეს კერძო, კონკრეტიული პირობები საბჭოთა საქართველოში, რომელშიაც უხდება მოქმედება საქართველოს კომუნისტურ პარტიას?

შეიძლება აღნუსხვა ზოგიერთ უტყუარი ფაქტების, რომლებიც დამახასიათებელია საბჭოთა საქართველოს ყოფა მდგომარეობის. პირველი: უეჭველია, რომ შეუძლებელი, წარმოუდგენელია სრულიად კარჩაკეტილი არსებობა საბჭოთა საქართველოსი, და აგრეთვე ყველა სხვა საბჭოთა ქვეყნების თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები უსაზღვროდ მტრულად ეპყრობიან საბჭოთა ქვეყნებს,—შეუძლებელი და წარმოუდგენელია როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე მეურნეობის განვითარების თვალსაზრისითაც: ურთიერთი დახმარება საბჭოთა სახელმწიფოების, როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო წარმოადგენს იმ პირობას, ურომლისოთ წარმოუდგენელია ამ სახელმწიფოების განვითარება. მეორე: ცხადია, საქართველო, რომელიც ყოველთვის განიცდის სურსათის ნაკლებობას, საჭიროებს რუსეთის პურს, ურომლისოთ ვერ გაძლებს. მესამე: საქართველო, რომელსაც არ აქვს საკუთარი თხიერი სათბობი, უეჭველათ საჭიროებს თავისი ტრანსპორტისა და მრეწველობისათვის აზერბეიჯანის ნავთს, და ვერ გასძლებს უამისოთ. მეოთხე: ისიც უეჭველია, რომ საქართველო, რომელსაც აკლია საკუთარი საექსპორტო ფონდი, საჭიროებს რუსეთის ოქროს, რათა დაფაროს თავისი საქონლის ბიუჯეტის დეფიციტი. და ბოლოს, შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის თავისებურებას, რაიც გამოიხატება იმაში, რომ გვარიან დიდს პროცენტს ამ მოსახლეობისას შეადგენენ სომხები, რომელთაც თბილისში, საქართველოს დედა ქალაქში მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი ეკუთვნისთ; ეს გარემოება კი ავალებს საქართველოს, რა გინდ მმართველობის ფორმა არ ჰქონდეს მას, განსაკუთრებით კი საბჭოთა რეჟიმის დროს, იქონიოს სომხეთთან მტკიცე მშვიდობიანი ურთიერთობა და კეთილმეზობლობა.

ზედმეტია მტკიცება რომ მრავალი ასეთი კონკრეტული პირო-

ბების მიხედვით საბჭოთა საქართველო, აგრეთვე საბჭოთა სომხეთი და აზერბაიჯანი იძულებული ხდებიან დაამყარონ ურთიერთშორის ერთგვარი ერთობა სამეურნეო მოქმედების, გააერთიანონ, მაგალითად, თავისი ღონისძიება ტრანსპორტის გასაძლიერებლად, საგარეო ბაზარზე შეერთებულად გამოსასვლელად, სამელიორაციო მუშაობის საწარმოებლად (მორწყვა, დრენაჟი) და სხ.

მე აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ აუცილებელია ურთიერთის დახმარება და კავშირი როგორც ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკებ შორის, ისე ამ რესპუბლიკებისა საბჭოთა რუსეთთან, თუ საქ. რო დარჩა თავდაცვა გარეშე მტრის შემოსევისაგან. ეს ცხადი და უდაოა. და თუ მე მაინც ჩამოვაგდე სიტყვა ამ შაბლონურ ჭეშმარიტების შესახებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთი პირობები, რომელთაც თავი იჩინეს ამ უკანასკნელ ორი-სამი წლის განმავლობაში, ხელს უშლიან ასეთ გაერთიანებას, გაქარწყლებით ემუქრებიან ასეთი გაერთიანებისაკენ მიმართულ ცდასაც კი. მე სახეში მაქვს ნაციონალიზმი—ქართველების, სომხების, აზერბეიჯანელების—რომელიც საშინლად გაძლიერებულა უკანასკნელ წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში და რომელიც ხელს უშლის გაერთიანების საქმეს.

წინეთ ძმობა-სოლიდარობა მტკიცე იყო.

მე მახსოვს 1905—1917 წ. წ., მაშინ ამიერ-კავკასიის მუშებში და საერთოდ მშრომელ ერთა შორის თვალსაჩინო იყო სრული ძმური სოლიდარობა, მაშინ ძმობის ძაფებით ერთმანეთზე გადაჯაჭვული იყვნენ და ერთ სოციალისტურ ოჯახს შეადგენდნენ ქართველი, სომეხი, აზერბეიჯანელი და რუსი მუშები. ახლა კი, თბილისში ჩამოსვლისას, მე გამაოცა იმ გარემოებამ, რომ წინანდელი სოლიდარობა ამიერ კავკასიის ერთა მუშებს აღარ ეტყობათ. მუშებში და და გლეხებში გაღვივებულა ნაციონალიზმი, გაძლიერებულა უნდობლობის გრძნობა სხვა ეროვნების ამხანაგებისადმი: ანტისომხური, ანტითათრული, ანტიქართული, ანტირუსული და ყოველგვარი სხვა ნაციონალიზმი ახლა ჭარბად მოიპოვება აქ. წინანდელი ძმური ნდობის ძაფები დაწყვეტილია ან და ყოველ შემთხვევაში, ძალზე დასუსტებული. აშკარაა, სამი წლის განმავლობაში ნაციონალისტურ მთავრობების არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანში (მუსავატელები) და სომხეთში (დაშნაკელები) უკვალოდ არ ჩაუვლია. ამ ნაციონალისტურ მთავრობებს თავისი ნაციონალისტური პოლიტიკით, თავისი აგრესიულ ნაციონალიზმით გაჟღენთილ მუშაობით მშრომელთა შორის შეუქმნიათ ისეთი მდგომარეობა აქ, რომ თითეული ეს პატარა [illegible] ვით შემორტყმულია [illegible] ნაციონალისტური ატმოსფერით, რის შედეგია ის, რომ საქართველოს და სომხეთს გადაჭრილი აქვთ გზა რუსეთის პურისკენ და აზერბაიჯანის ნავთისკენ, ხოლო აზერბაიჯანს და რუსეთს—სხვა და სხვა საქონლისკენ, რომელიც ბათუმიდან უნდა შემოსულიყო. მე აღარას ვამბობ იმ შეიარაღებულ შეტაკებებზე (ქართველ-სომხებს შორის) და იმ ჟლეტაზე (სომეხ-თათართა შორის), რომელიც ბუნებრივი შედეგია ნაციონალისტური პოლიტიკისა. განა გასაკვირველია, თუ ასეთ მოწამლულ ნაციონალისტურ პირობებში უწინდელი ინტერნაციონალური ძაფები დაწყდა და მუშათა შეგნება ნაციონალიზმის შხამით მოწამლული დარჩა? და სანამ ამ ნაციონალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მუშებში, ეს გარემოება (ნაციონალიზმი) უდიდესი ხელშემშლელი პირობაა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო (და სამხედრო) ღონისძიებათა გაერთიანების საქმისთვის. ასეთი გაერთიანების გარეშე კი, როგორც მე უკვე ვთქვი, წარმოუდგენელია სამეურნეო განვითარება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა, ნამეტნავად კი საბჭოთა საქართველოსი. ამიტომ საქართველოს კომუნისტების მორიგი ამოცანაა დაუზოგველი ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ, აღდგენა უწინდელი ძმური ინტერნაციონალური კავშირის, რომელიც არსებობდა ნაციონალისტურ-მენშევიკურ მთავრობის გამოჩენამდე, და ამრიგად შექმნა ურთიერთისადმი ნდობის საღი ატმოსფერისა, რაც საჭიროა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო მოქმედების გაერთიანების და საქართველოს მეურნეობის აღორძინებლად.

დამოუკიდებლობა მოჩვენება არ არის.

ეს რასაკვირველია არ მოასწავებს საქართველოს, აზერბეიჯანის და სხ. დამოუკიდებლობის გაქარწყლებას. ზოგ ამხანაგებ შორის რომ გაისმის ხმა ძველი გუბერნიების (თბილისის, ბაქოს, ერევნის) აღდგენის პროექტის შესახებ (ამიერ კავკასიის გაერთიანებულ მთავრობით სათავეში), ჩემი აზრით ეს პროექტი უტოპიაა და უტოპია რეაქციონური, ვინაიდან ასეთი პროექტი უეჭველად ნაკარნახებია ისტორიის ბორბლის უკან დატრიალების სურვილით. ძველი გუბერნიების აღდგენის და საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანში ნაციონალური მთავრობების ლიკვიდაციის ნატვრა—ეს იგივეა, რომ ინატრო პომეშჩიკების უფლების აღდგენა მიწაწყალზე და მოსპობა რევოლიუციის მონაპოვართა. ასეთ ნატვრას არავითარი საერთო არა აქვს კომუნიზმთან. სწორედ იმისთვის, რომ გაფანტულ იქნეს ურთიერთი უნდობლობის გრძნობა და აღდგენილი ძმური კავშირი ამიერ-კავკასიის და რუსეთის ერთა მუშებ შორის, სწორედ ამისთვის საჭიროა შენარჩუნება როგორც საქართველოს, ისე სომხეთის და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის. ეს არ უარჰყოფს, პირიქით გულისხმობს საჭიროებას ურთიერთი სამეურნეო და სამხედრო დახმარებისას, აგრეთვე საჭიროებას დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებისა ნება ყოფლობითი შეთანხმების და კონცესიების ნიადაგზე.

მე ცნობა მომივიდა მოსკოვიდან, რომ იქ გადაუწყვეტიათ ამ დღეებში მცირე დახმარება გაუწიონ საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს სესხის სახით 6½ მილიონი ოქროს მიცემით. ამას გარდა მე გავიგე აქ, რომ საქართველო და სომხეთი აზერბეიჯანიდან ღებულობენ ნავთს და ნავთის პროდუქტებს სრულიად უსასყიდლოთ—ასეთი მოვლენა წარმოუდგენელია ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, თუ გინდ ისინი შეკრული იყვნენ სახელგანთქმულ „გულითადი შეთანხმებით" (Entente cordiale). განა მტკიცებაა საჭირო, რომ ეს და ასეთი აქტები კი არ ასუსტებენ, არამედ აძლიერებენ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობას.

მაშ ასე. ლიკვიდაცია ნაციონალისტური ნაშთების, მათი ამოწვა გახურებული შანთით და შექმნა ამიერ-კავკასიის ერთა მშრომელთა შორის ურთიერთ-ნდობის საღი ატმოსფერის, რაც გააადვილებს და დააჩქარებს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებას (უამისოთ კი წარმოუდგენელია საბჭოთა საქართველოს სამეურნეო აღორძინება), ამასთანავე შენარჩუნება საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობის—ასეთია საქართველოს კომუნისტების მეორე ამოცანა, რომელსაც უკარნახებს მათ ქვეყნის ყოფა მდგომარეობის კონკრეტული პირობები.

გასწმინდეთ პარტია.

დაბოლოს, მესამე მორიგი ამოცანაა—ისეთივე დიდმნიშვნელოვანი და ისეთივე აუცილებელი—შენარჩუნება საქართველოს კომუნისტური პარტიის სიწმინდის, სიმტკიცის და მოქნილობის.

ამხანაგებო! თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენი პარტია [illegible] რომ ხშირათ მასში შემოდიან ჯაშუშებით ან ცდილობენ შემოიპარონ არასაიმედო, პარტიისთვის უცხო, [illegible] ელემენტები და შემოაქვთ სული გახრწნილების და [illegible]. კომუნისტების უწმინდესი ვალია იზრუნონ, რათა პარტია მოარიდონ ასეთ ელემენტებს. ერთხელ და სამუდამოთ უნდა დავიხსომოთ, რომ პარტიის ძლიერება და წონა, ნამეტნავ კომუნისტური პარტიის, დამოკიდებულია არა წევრთა რაოდენობაზე, არამედ წევრთა თვისებაზე, მათ სიმტკიცეზე და მათ თავდადებულობაზე პროლეტარიატის საქმისათვის. რუსეთის კომუნისტურ პარტიას სულ 700 ათასი პარტიის წევრი გააჩნია. გარწმუნებთ, ამხანაგებო, რომ მას შეუძლია თავისი წევრთა რიცხვი 7 მილიონამდე აიყვანოს, ამის სურვილი რომ ქონდეს ან და რომ არ იცოდეს, რომ 700 ათასი მტკიცე კომუნისტები უფრო სერიოზულ ძალას წარმოადგენენ, ვინემ 7 მილიონი თანამგზავრები, რომელნიც არც არავის ესაჭიროება და არც არაფრის გაკეთების უნარი აქვთ.

თუ რუსეთმა გაუძლო მსოფლიო იმპერიალიზმის შემოსევას, თუ მან შესძლო ყველა ფრონტებზე სერიოზული გამარჯვების მოპოვება, თუ მან სამი წლის განმავლობაში თავის საზოგადოებ წარმოშვა ძალა, რომელიც აზანზარებს მსოფლიო იმპერიალიზმის საძირკველ, ეს სხვათა შორის მიეწერება მჭიდროთ შეკავშირებულ, ბრძოლაში გამობრძმედილ და მტკიცე ფოლადიდან გამოკვეთილ კომუნისტურ პარტიას, რომელიც არასოდეს არ მისდევდა თავის წევრთა რაოდენობას, რომელიც თავის უპირველეს საზრუნავ საგნათ სთვლიდა თავის წევრთა თვისების გაუმჯობესებას. ლასალი მართალი იყო, როცა ამბობდა: პარტია მაგრდება და ძლიერდება როცა იწმინდება სიბილწისაგან. მეორე მხრით უეჭველია, რომ თუ მაგ., უდიდესი სოციალ დემოკრატიული პარტია მთელს დედამიწაზე, გერმანიის სოციალ დემოკრატია იმპერიალისტურ ომის დროს სათამაშო საგნათ იქცა იმპერიალიზმის ხელში, ხოლო ომის შემდეგ გადაიშვა უფსკრულში, როგორც [illegible] თიხის ფეხებით—ეს მოხდა იმის გამო, რომ ის მთელი წლების განმავლობაში გატაცებული იყო თავის ორგანიზაციების გაფართოებით ყოველგვარ წვრილ-ბურჟუაზიული ნაგავ ნაყარის ხარჯზე, რამაც ჩაჰკლა მასში სული ცხოველი.

მაშ ასე. დაცვა პარტიის სიმტკიცის-უარჰყოფა პარტიის წევრთა რაოდენობის გადიდების სწრაფვის, პარტიის წევრთა თვისების სისტემატიური გაუმჯობესება, პარტიის დაცვა ინტელიგენტურ მეშჩანურ ნაციონალისტურ ელემენტებისაგან—ასეთია მესამე და უკანასკნელი მორიგი ამოცანა საქართველოს კომუნისტური პარტიის.

დასკვნა.

მე ვათავებ, ამხანაგებო, ჩემს მოხსენებას. გადავდივარ დასკვნაზე:

1. გაჩაღება ყოველმხრივი სამეურნეო-აღმშენებლობითი მუშაობის, ყველა ძალების ამ საქმეზე მოხმარება, გამოყენება ამასთანავე როგორც დასავლეთი კაპიტალისტურ ჯგუფების, ისე საკუთარი ქვეყნის წვრილ-ბურჟუაზიულ ჯგუფების ძალა-საშუალებათა.

2. გასრესა ნაციონალიზმის გველეშაპის და შექმნა ინტერნაციონალიზმის საღი ატმოსფერის ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების გასაადვილებლად, ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნების ნიადაგზე.

3. პარტიის დაცვა მეშჩანურ ელემენტების შემოსევისგან, დაცვა მისი სიმტკიცის და მოქნილობის მისი შემადგენლობის თვისების სისტემატიური გაუმჯობესებით.

ასეთია სამი მორიგი ძირითადი ამოცანა საქართველოს კომუნისტური პარტიის. მხოლოდ ამ ამოცანების გარკვევა-გადაწყვეტით შესძლებს კომუნისტური პარტია თავის ხელში საქმის შენარჩუნებას და მეურნეობის არევ-დარევის დაძლევას (ტაში).

კომინტერნის მე-3 კონგრესი.

ამხ. რადეკის მოხსენება კომინტერნის ტაქტიკის შესახებ.

(დასასრული. იხ. „კომ." № 105).

შემდეგ ამხ. რადეკი ყურადღებით არჩევს პროლეტარიატის უკანასკნელ გამოსვლებს, იტალიასა, ჩეხო-სლოვაკიასა და გერმანიაში. ამ სამი მნიშვნელოვანი ამბების განხილვას ამხ. რადეკი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ჩეხო-სლოვაკიასა და იტალიაში ჩვენ საქმე გვაქვს ოპორტიუნისტულ ხელმძღვანელობასთან, რომელმაც ვერ შესძლო გამოეყენებია მასების სტიქიური გამოსვლები. გერმანიაში ჩვენ იმის მაგალითს ვხედავთ, თუ რევოლიუციონურად განწყობილ მეთაურებმა როგორც ვერ მოახერხეს მასიური გამოსვლის მომზადება და თუ როგორ არ იცოდნენ მათ ამ გამოსვლის ცხოვრებაში გატარების მეთოდი. იმ გარემოებას, რომ, მიუხედავად ყველა თავისი ნაკლისა, გერმანიის, გაერთიანებული კომუნისტური პარტია ჩაება ბრძოლაში მოყვა შედეგად გერმანიის პროლეტარიატის ნდობის გაძლიერება მისდამი, როგორც არა მარტო სიტყვების, არამედ საქმის პარტიისადმი. გერმანელ კომუნისტების წრეებში ერთდროულად მოხდა ყველა ცენტრისტულ და ნახევრად ცენტრისტულ ელემენტების მხილების პროცესში, რაც არსებითი საწინდარია პარტიის ბრძოლის უნარიანობის გაძლიერებისა.

მარტის დამარცხება, რამდენად გერმანელი კომუნისტები შეიგნებენ მის გაკვეთილებს, იქნება გერმანიის პროლეტარიატის დიდი გამარჯვება მომავალში [illegible] რევოლიუციონური მუშაობის [illegible].

აქ ამხ. რადეკი [illegible] შეჩერდა სოციალ-დემოკრატების პროგრამაზე, რომელიც ცდილობენ გააუმჯობესონ მუშათა კლასის მდგომარეობა არსებულ ბურჟუაზიულ წყობილების ფარგლებში. თანამედროვე ვითარებაში ეს მოთხოვნანი წამოყენებულია გერმანიაში სოციალიზაციის ლოზუნგების სახით, ინგლისში სამთო მადნო-მრეწველობის ნაციონალიზაციის ლოზუნგის სახით. მაგრამ თუ დაკვირვებით გავარჩევთ დამოუკიდებელთა ამ თეორიას, ჩვენ შეგვიძლია ერთი დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ისინი ნამდვილი ბრძოლის შიშს პირდაპირ მალავენ ლამაზი [illegible]. ჩვენ, კომუნისტები, ვდგავართ სრულებით სხვა თვალსაზრისზე, ვინაიდან ერთდროულად პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის მოთხოვნასთან, ჩვენ მხარს უჭერთ მის იმ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოადგენენ მიმდინარე შედეგებს პროლეტარიატის ყოველ დღიური ბრძოლისას რომლისაც ჩვენ ვემხრობით მუშათა კლასს სამუშაო ხელფასის გადიდების მიღწევაში, ჩვენ სრულებით არ უწყობთ ხელს კაპიტალისტურ წყობილების განგრძლივებას; ჩვენ ვეხმარებით პროლეტარიატს და, ვეხმარებით რა მას, მიგვყავს იგი უფრო და უფრო დიდ ბრძოლებისაკენ. შემდეგ ჩვენ ვაყენებთ მოთხოვნას პროლეტარიატის შეიარაღების და ბურჟუაზიის განიარაღებისას. ჩვენ ვიცით, რომ ბრძოლებისთვის მომზადების საუკეთესო საშუალება არის პროპაგანდა, ვინაიდან ჩვენ ვიმყოფებით უდიდესი ბრძოლების წინ. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყოველგვარი მდგომარეობისათვის, რადგან პროლეტარული რევოლიუციის განვითარება არ მიდიოდეს იქნება პირდაპირი ხაზით. ჩვენ არ ვიცით, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე, რადგან, შესაძლებელია, ხვალ ჩვენ მოგვიხდეს ჩვენებით უდიდეს ბრძოლაში ჩვენ არ შეგვიძლია რევოლიუციის კალენდარი გავუწიოთ, მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ უხელმძღვანელოთ პროლეტარიატის ლაშქარს.

კამათი ამხ. რადეკის მოხსენების გამო.

მოსკოვი, 4 ივლისი. (რადიო). კომინტერნის კონგრესის მე-13 და მე-14 სხდომებზე სწარმოებდა კამათი რადეკის მოხსენების გამო კომინტერნის ტაქტიკის შესახებ. გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიის წარმომადგენელი კენპელი ფიქრობს, რომ პროფკავშირები, რომელნიც შექმნილია მუშათა კლასის მდგომარეობის წვრილმანი გაუმჯობესობების ნიადაგზე, ეხლა გამოუსადეგარნი არიან სოციალურ რევოლიუციისათვის. მცირე პარტია, რომელსაც ის წარმოადგენს, თვლის პროლეტარიატის ორგანიზაციის ერთად ერთ სწორ ფორმად—საწარმოო გაერთიანებას (გამოტოვებულია, დამახინჯებულია)... ამ გზით ფიქრობს გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია შექნას პროლეტარიატის მებრძოლი ორგანიზაცია (გამოტოვებულია).

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხ. ზინოვიევი და ტროცკი, საბოლოო სიტყვით აგრეთვე ამხ. რადეკი. რადეკის დებულებანი მიიღო კონგრესმა და გადაეცა კომისიას.

ამხ. ზინოვიევის მოხსენება.

— 30 ივნისს დილით შემდგარ კონგრესის მე 15 სხდომაზე, მოხსენებით პროფკავშირების ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალთან ბრძოლის შესახებ გამოვიდა ამხ. ზინოვიევი, და მოხსენებით პროფკავშირების წითელ ინტერნაციონალის ორგანიზაციის შესახებ გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი გევარტი. საღამოთი მოხდა წითელი პროფკავშირების 1 ლი საერთაშორისო კონგრესის დიდი საზეიმო გახსნა.

თავის მოხსენებაში ამხ. ზინოვიევმა თქვა: პროფკავშირების ამსტერდამის ყვითელი ინტერნაციონალი—ესაა უკანასკნელი იარაღი ბურჟუაზიის ხელში—ანტანტა არსებობს არა მარტო ხიშტების, არამედ უმთავრესად მოტყუილების საშუალებით. თუ არ პოლიტიკა მთელი ქვეყნიერების შემთანხმებელთა, რომელთაც გაჰყავთ მოტყუილების პოლიტიკა და არიან ბურჟუაზიის აგენტები,—პროლეტარიატი გამარჯვებას დღევანდლამდე მიაღწევდა,

ამიტომ ბრძოლა ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალის წინააღმდეგ — ესაა დღევანდელი დღის მიზანი.

მეორე ინტერნაციონალის მეთაურები, რომელნიც იმავე დროს არიან პროფკავშირების ყვითელი ინტერნაციონალის მეთაურებიც, აგრეთვე მინისტრები ან ტეხნიკური მრჩეველნი ბურჟუაზიული მთავრობების, — ქადაგებენ პროფკავშირების მიერ თავ შეკავებას პოლიტიკური ბრძოლისაგან და ამით ბურჟუაზიას ემსახურებიან. პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალი იწყებს ბრძოლას მასსების დაპყრობისათვის მსოფლიო პროფესიონალურ მოძრაობაში, ხოლო ეხლა მიმდინარე კომინტერნის კონგრესი და კონგრესი წითელი პროფკავშირებისა—უდიდესი მოვლენაა ისტორიაში. მეგობრული შეთანხმებული მუშაობა ამ ორი მსოფლიო ყრილობების საწინდარია მსოფლიო რევოლიუციის განვითარებისა.

პროფკავშირების საერთაშორისო ყრილობას ეხლა ზურგს უმაგრებს 17 მილიონამდე ყველა ქვეყნის შეკავშირებულ პროლეტარებისა. ამ ყრილობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა მთელი მსოფლიოს მუშური მოძრაობისათვის.

პროლეტარიატის კონტროლი წარმოებაზე, ურთიერთობა ფაბრიკა ქარხნების კომიტეტებისა ინტერნაციონალთან და პროფკავშირებისა ინტერნაციონალთან, კონგრესის მუშაობა მოგვცემს მტკიცე შეკავშირებულს ორგანიზაციას, რომელიც გააერთიანებს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ფართე მასსებს ერთიანი რევოლიუციონური კლასობრივი მიზნით.

საბჭ. საქართველოში

ბორჯომი

გრუკავროსტას საბჭოთა გაზეთის დემონსტრაცია ხდება ლიაცის ქვეშ მინერალურ წყლის პარკში. გაზეთი იზიდავს წითელ არმიელების და მუშების მასსებს. გაზეთის შინაარსი: დეპეშები, ლოზუნგი, ქრონიკა, კარიკატურა დამზადებული გრუკავროსტას განყოფილების [illegible]. ხდება აგრეთვე საბჭოთა გაზეთის დემონსტრაცია სამხედრო ლაზარეთში.

ეკატერინენფელდი.

4 ივლისს დასრულდა ხიდის აგება მდინარე მაშავერაზე. ხიდი აგებულია ეკატერინენფელდის ახალშენის საერთო ხარჯზე რაიონულ რევკომის ხელმძღვანელობით კოლექტიურ დასაწყისზე. მუშაობდნენ 10 ხელოსანი, რომლებმაც 3 კვირაში დაასრულეს ხიდის აგება. ხიდის ღირებულება 150 მილიონს უდრის, ყველა ეს ხარჯები დაფარულია ახალშენის საშუალებების გარდა, რკინისა, რომელიც მისცა სამაზრო რევკომმა. მეზობელ სოფლებს მონაწილეობა არ მიუღიათ, მიუხედავად რაიონის რევკომის თავმჯდომარის [illegible] ხიდი წარმოადგენს [illegible] ნიმუშს [illegible] შრომისას.

ახალქალაქი.

26 ივნის ახალქალაქში შედგა კონფერენცია თემის და რაიონის რევკომთა თავმჯდომარეების. დღიურ წესრიგში შეტანილ იყო შემდეგი კითხვები. [illegible] დამოკიდებულება ადგილობრივ—მოსახლეობასთან, ადგილებიდან მოხსენებები თემის და რაიონის რევკომების ურთიერთობაზე მილიციასთან, ეკონომიური მდგომარეობა, ეროვნული კითხვა, რაიონის და თემის რევკომის და სოფლის კომისართა ფუნქცია, მიმდინარე საქმეები. ყველა აღნიშნულ კითხვებზე იყო მოხსენება გაკეთებული და მიღებული შესაფერი დადგენილებანი. დასასრულ კონფერენციამ გაუგზავნა მისალოცი დეპეშები საქ. რევკომის თავმჯდ. ამხ. ფ. მახარაძეს.

ყარაიაზის რაიონში.

დამამზადებელი მუშაობა ყარაიაზის რაიონში დავალებული აქვს ადგილობრივ რევკომს და დამამზადებელი პუნქტებს სარ. კომის და XI არმიისას. რაიონის წყლების მმართველობა ამ მუშაობაში ღებულობს თანასწორ მონაწილეობას. თითეულის დაწესებულება დავალებულ მუშაობას ასრულებდა სრულიად დამოუკიდებლად. შეუთანხმებელი მუშაობა აღნიშნულ დაწესებულებათა არის შედეგი საოწყავ არხების ურემონტოთ დარჩენისა. რამაც აგრე არასასურველად იმოქმედა ყანებზე. იმ მიზნით, რომ შეერთდეს ყველა მომმარაგებელი დაწესებულებანი რაიონსა, ყარაიაზის რევკომის სხდომაზე, რომელზედაც დაესწრნენ აღნიშნულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, მიღებული იქნა წინადადება სამაზრო რევკომის თავმჯდომარის ამხ. მგელაძისა: კითხვები თითეულ დაწესებულების საჭიროების დასაკმაყოფილებლათ გადაწყვეტილი იქნას საერთოდ. დაევალოს თითოეულ დაწესებულების წარმომადგენელს დაესწროს რევკომის ყველა სხდომას, დამამზადებელმა პუნქტებმა თავიანთ საქმის დაწყების შესახებ აცნობონ რევკომს. ამ წინადადების საპასუხოთ არმიის თავმჯდომარე დაპირდა საოწყავ არხების რემონტისათვის დუღაბი და სხვა მასალების დიდი ნაწილი. მიცემულია წინადადება ახლო მომავალში შეუდგენ მუშაობას არხების გასამაგრებლათ და გასაკეთებლათ და, თუ სათანადო ყურადღება ექნება მიქცეული ყარაიაზის რაიონს, შეგვეძლია იმედი ვქონდეს, რომ ის კვლავ გახდება საქართველოს ბეღლად. მოწყობილია სანიტარული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს თუნდაც იძულებითი ზომებით აიძულოს სოფლად ქუჩების გაწმენდა. მიუხედავად ზომების მიღებისა, ორი შემთხვევა ხოლერით ავადმყოფობისა მაინც აღმოჩნდა. ამ კუთხეში მძვინვარებს ციებ ცხელება. საჭიროება საექიმო პერსონალისა და მედიკამენტებისა დიდია: რაიონს არა ჰყავს ექიმი და ერთი კვირის შემდეგ კი დგება ხანა ძაფრი მალერიის ავადმყოფობისა.

საბჭოთა რუსეთში

ნატურ-გადასახადი.

მოსკოვი. 28 ივნისი. (რადიო). ყველა საგუბერნიო აღმას. კომ-ბის თავმჯდომარეებს, ასლი საგუბერნიო სასურსათო კომ—ს. ვინაიდან მოსავლის აკრეფის დრო უკვე მოახლოვებულია და აუცილებლად საჭიროა სასწრაფოთ შედგეს ნატურალურ გადასახად ს გამღებ სოფლელთა სია, ვბძანებ: 1) სასწრაფოთ, ხუთი დღის ვადაში დაიბეჭდოს საჭირო რაოდენობით სასოფლო გადასახადის სიის ბლანკები, დამამზადებელ კონტორებისათვის გადასახადის წიგნები, აგრეთვე სხვა საბუთებიც, რაც საჭიროა ნატურ - გადასახადის განსახორციელებლად, თანახმად სახ. სახ. კომისარიატის მიერ დაგზავნილ ფორმებისა; 2) ამის აღსასრულებლათ მობილიზაცია ეყოს ყველა სტამბებს და იქ შეჩერებულ იქნას სხვა სამუშაო, თუ საჭიროებამ მოითხოვა გაზეთის ბეჭდვის შეჩერების წინაშეც ნუ შეჩერდებით; 3) სანამ ცენტრიდან ქაღალდს მიიღებდეთ, ნაჩვენებ ფორმების დასაბეჭდათ დაუყონებლივ ქაღალდის საჭირო რაოდენობა ადგილობრივ მარაგიდან ისესხეთ. სასურ. სახ. კომისარიატს ქაღალდი [illegible] და იგზავნება. მიღებისთანავე ნასესხები უკან დააბრუნეთ. ამის აღსრულებისა და მიღებულ ზომების შესახებ საგუბერნიო სასურ. კ—მის მოახსენეთ სასურ. სახ. კომისარიატს. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე ლენინი.

ბრძოლა წარმოებისათვის

მოსკოვი. 28 ივნისი (რადიო). კურსკის რკინის გზის ბიუროს ვაგონების შემკეთებელმა ზემლიანსკიმ გამოიგონა ხის ლურსმნების გამკეთებელი ფრიად მარტივი კონსტრუქციის მანქანა. ამ მანქანაზე მოუმზადებელ მუშებსაც კი შეუძლია საათში 2 გირვანქა ლურსმანის დამზადება.

— ბახმუტიდან იტყობინებიან, რომ დონბასში ქვაბების შეკეთების საქმემ ძალიან ნაყოფიერად ჩაიარა. ინჟინერ იურგევიჩმა ახალ დასაშლელ ლაფეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი წარადგინა, რომელიც ქვაბების წარმოების დროს ნახევრად ამოკლებს. ინჟინერმა კუბლინმა წარადგინა ქვაბის ახალი სახე უკვამლო სათბობით. ამ გამოგონებით მივაღწევთ სათბობ მასალის დიდ ეკონომიას და წარმოების გაძლიერებას.

მორიგი ფრონტი.

მოსკოვი. 28 ივნისი. (რადიო) ხოლერა მოდის. უნდა ვებრძოლოთ მას ყოველი საშუალებით და ძალღონით მთელმა ხალხმა, ფართე მასსამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ბრძოლაში. მასიური მონაწილეობა მცხოვრებთა ქალაქის, სოფლის გაწმენდაში, აბანოების შეკეთებაში, ნაგვის გატანაში, წყლის ასადუღებლის გაკეთებაში ყველაზე უფრო საჭიროა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხოლერასთან ბრძოლა. საკითხი სდგას ყოველი ჩვენგანის სიცოცხლის გადარჩენაზე. გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მთელი ხალხის გადამდები სენის წინააღმდეგ გალაშქრებით. დაამარცხეთ სიბინძურე, ხოლერა დამარცხებული იქნება.

გასუფთავების კვირა.

მოსკოვი 28 ივნისი. (რადიო). პეტროგრადში წყლის გზებზე იწყება გასუფთავების კვირა. მასში მონაწილეობას იღებენ შრომის ბირჟის სახით ყველა მუშა და საწყლო ტრანსპორტის მოსამსახურენი.

სრულიად რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა კონფერენცია.

მოსკოვი, 30 ივნისი. (რადიო). მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობდნენ 250 დელეგატი, პროფესორის წარმომადგენელნი, სტუდენტობისა და სახალხო განათლების მომუშავეებისა. განსახილველ საგანს შეადგენდა: 1) უმაღლეს სკოლის წესდება. 2) უმაღლეს სკოლის მატერიალური მდგომარეობა. პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. ლუნაჩარსკი, „პოკროვსკი, პრეობრაჟენსკი, გრადესკული,, გლინენკო, ნარბუტი, ბუტაევი, შოშიევი (და სასრული არ მოსულა).

საზღვარ გარეთ

გრუკავროსტას დეპეშები.

გაფიცვა ჩინეთში.

მოსკოვი. 28 ივნისი. (რადიო). მეზღვაურთა გაფიცვა, რომელმაც ჩინეთში იფეთქა, მოწმობს მას, რომ მშრომელ ჩინელებს შორის გაძლიერდა და გავრცელდა რევოლუციონური იდეია.

ომი მუშების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 28 ივნისი. (რადიო). არგენტინის მთავრობამ გაგზავნა ჯარი ზღვის რაიონში, რომ ხელი შეუშალოს გაფიცვას ნავთ სადგურში. ნაპირებზე სდგას არტილერია—ცხენოსანი და ქვეითი ჯარი.

ჰოლანდიის პროლეტარიატის გრანდიოზული მანიფესტაცია.

მოსკოვი. 28 ივნისი. (რადიო). 50 ათასმა მუშამ, რომელიც შეკრებოდა ყველა კუთხიდან, მოაწყო 5 ივნისს ამსტერდამში გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია რეაქციის წინააღმდეგ. დემონსტრაციის სვლა გაგრძელდა 3 ს. ამსტერდამის ქუჩები სავსე იყო მუშებით, რომელთაც მიჰქონდათ დროშები და მღეროდენ რევოლუციონურ სიმღერებს.

2 მილიარდი მარკა.

ნაუენი. 28 ივნისი. (რადიო). აღმადგენელი კომისია აღნიშნავს, რომ გერმანიამ ანტანტს გადაუხადა ივნისის განმავლობაში 2,2 მილიარდი მარკა. კომისიამ დაადგინა, შეუდგეს აღმადგენელ მოწმობების ბეჭდვას, რომლის ღირებულებაც უნდა უდრიდეს ერთ დოლარს.

უმუშევრობა გერმანიაში

ბერლინი. 14 ივნ. ხარჯმა, დაკავშირებულმა უმუშევრობასთან გერმანიის მთავრობის ხარჯთ-აღრიცხვით მიაღწია 2 მილიონ მარკას. სახელმწიფო ხარჯების დასაფარათ და ანტანტის ულტიმატუმის შესასრულებლად, მთავრობამ გადაწყვიტა, შემოიღოს ახალი გადასახადები.

ვირტის განცხადება.

ნაუენი. 29 ივნისი. (რადიო). კანცლერმა ვირტმა გაზეთ „ნოიე ფრაიე პრესსე“ ბერლინ. კორესპონდენტთა ინტერვიუში განაცხადა: გერმანია მზათაა შეასრულოს უდიდესი მსხვერპლი, ოღონდ მიაღწიოს პატიოსან ზავს. ყოფილმა მოწინააღმდეგეებმა თავიანთ მხრივ ხელი უნდა შეუწყონ ამ საკითხის გადაწყვეტას. მათ უნდა მოსპონ სანქციები, რომლებიც ვერაფერი ვეღარ ამართლებს და რომელნიც უფრო უძნელებენ გერმანიას ნაკისრი მოვალეობის შესრულებას. შემდეგ ვირტმა ზეჯითად განაცხადა: რომ ზემო სილეზიაში მომხდარ პლებისციტთან დაკავშირებით უნდა სამართლიანად მოექცენ გერმანიას, რადგან საკითხი ზემო სილეზიის შესახებ არარაა წმინდა გერმანიის საკითხი; იგია ევროპის საკითხი და დიდი მნიშვნელობაც აქვს.

8 საათის სამუშაო დღე.

ბერლინი. 14 ივნისი. ბელგიის დეპუტატთა პალატამ დიდი ხმის უმეტესობით მიიღო კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

მდგომარეობა კონსტანტინეპოლში

ბათომი. 28 ივნისი (ტელ.) ვაჭრობა კონსტანტინეპოლში წინანდებურათ კატასტროფიულ მდგომარეობაშია. ვაჭრობის უქონლობის გამო, ბევრი ფირმა გაკოტრდა. ვაჭრები მოუთმენლათ ელიან ძლოვებას—მოგროვილი საქონელი
ონ საქართველოში და რუსეთში.
რების და მუშების ლირებულე-
-მეტათ აიწია.

ალაქთა დაცლა.

ლებმა ოფიციალურად აცნო-
ეთის მთავრობას, რომ ისინი
ტოლიას (გამოტოვებულია) ..
ამ ფაქტს უყურებენ, რო-
ტოლიის ეროვნულ მთავრობა-
გამარჯვებას.

ტოლიის ევაკუაცია.

ა. ანატოლიიდან მოსულ დეპე-
ნობით, ან ტოლიაში მყოფ იტა
საოკუპაციო ჯარების სარდალმა ინახულა ანატოლიის გუბერნატორი და განუცხადა მას, რომ მან მიიღო თავის მთავრობისგან ოფიციალური ბრძანება ანატოლიიდან ჯარების გამოყვანის შესახებ.

განათლება ანატოლიაში.

ანგორა. ანატოლიის სახალხო განათლების სამინისტრო იწვევს ანგორაში, განათლების მოღვაწეთა ყრილობას. პრესსა აღნიშნავს, რომ ხალხი ამ ყრილობიდან მოელის გადაწყვეტას, რომლითაც ძირიან ფესვიანათ შეიცვლება სახალხო განათლების საქმე ანატოლიაში.

ბრძოლა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 28 ივნისი, (რადიო). საფრანგეთში გაძლიერდა ბრძოლა მთავრობასთან, რომელიც ცდილობს რეპრესიებით ჩაკლას რევოლუციის მეთაურები და მებრძოლნი. კომუნისტური გაზეთი „ინტერნაციონალი“ მოუწოდებს ყველა პარტიის სექციებს, ყველა პროფესიონალურ კავშირებს და ყველა დეპუტატებს, რათა გაიძლიერონ მილიტარიზმის საწინააღმდეგო აგიტაცია.

ეკონომიური ნგრევა ლოტარინგიაში.

ნაუენი, 28 ივნ. (რადიო). ეკონომიური ნგრევა ლოტარინგიაში, რომელიც შეუერთდა საფრანგეთს, ძლიერდება. 89 ფაბრიკიდან მუშაობს მხოლოდ 25 წარმოებების უმეტესი ნაწილი გაჩერდა. მუშები ოჯახობით შიმშილს განიცდიან. ძლიერდება კომუნისტების გავლენა.

უმავთულო ტელეფონის სადგური.

ნაუენი, 28 ივნ. (რადიო) უმავთულო ტელეფონის სადგურის მოქმედება ნაუენში ვრცელდება ნიუფაუნდლენდზე. ე. ი. 4,340 კილომეტრის მანძილზე.

ორ სკამზე ჯდომა შეუძლებელია.

მოსკოვი. 28 ივნისი (რადიო). იტალიელ სოციალ-შეთანხმებელმა „ტურატიმ პარლამენტში გაილაშქრა კომუნიზმის წინააღმდეგ. ის ამბობს, რომ შეეტაკა ორი ძალა: ერთსა სურს ისტორიის მსვლელობის დაჩქარება, მეორეს შეჩერება. არის მესამე ძალა, რომელსაც სურს ძალდობისა და უნაყოფო ბრძოლის მეთოდის შენელება. მას უპასუხა კომუნისტ გრაციადეიმ. ის ამბობს, რომ აშკარა ომის რევოლუციონური ხანა ეხლახან დაიწყო. პროლეტარიატი მიისწრაფვის პოლიტიკურ ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ; მას ხელს უშლიან სოციალ-დემოკრატები, ეს პროლეტარიატის ინტერესების მოღალატენი. ბურჟუაზიულ წყობილების დამხობა შეუძლებელია ძალ დაუტანებლათ.

ზემო-სილეზიის ამბები.

ვარშავა, 26 ივლისი. (რადიო). ზემო-სილეზიის აჯანყებულმა პოლონელებმა მიიღეს გერმანელებსა და მოკავშირეთა კომისიის შორის დადებული შეთანხმება. სამშაბათს დაიწყება აჯანყებულთა და გერმანელ თავდაცვითი ნაწილების ევაკუაცია. ივლისის ექვსამდე მთელი ზემო სილეზია უნდა გაიწმინდოს.

ინგლისის შეთანხმებლებს ეშინიათ კომუნიზმისა

ლონდონი 24 ივნისი. (რადიო). მუშათა პარტიის კონფერენციაზე ინგლისის ქვანახშირის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ სმიტმა და რობერტ უილიამსმა მხარი დაუჭირეს წინადადებას, რათა იქნეს მიღებული კომუნისტური პარტია ინგლისის მუშათა პარტიის შემადგენლობაში. მაგრამ გაწეწმატებული შეთანხმებელი ჰენდერსონის სიტყვის შემდეგ იქნა მოხსნილი საკითხი კომუნისტურ პარტიასთან შეერთებისა.

ინგლისის მაღაროების მუშათა გაფიცვა.

ხორხი. 27 ივნისი (რადიო) ხვალ შესდგება ახალი კონფერენცია, რომელშიდაც მიიღებენ მონაწილეობას მთავრობის წარმომადგენელნი, მაღაროთა მეპატრონენი და მუშები.

გამცემლობა შეუთანხმებელ ბელადებისა.

ლონდონი. 24 ივნისი. (რადიო). ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენციაზე, სადაც დღევანდლამდის შეთანხმებელთა მეთაურები ატარებდენ თავის პოლიტიკას, დაადგინეს ქვანახშირის მუშებს დახმარებოდენ დანარჩენ დარგის მუშათა პროფკავშირები მხოლოთ ფინანსიურათ. შეთანხმებელთა ბელადები უპირობენ დახმარებას გაფიცულთ ქვანახშირის მომუშავეთ, ტრანსპორტის, რკინის გზელების და სასოფლო სამეურნეო კავშირთა მუშების გაფიცვის ჩაშლით.

კომუნიზმთან ბრძოლა ყოველ ფრონტზე.

მოსკოვი. 28 ივნისი (რადიო). ინგლისში კომუნისტები კანონს გარეშე ითვლებიან და ამწყვდევენ მათ ციხეში მხოლოთ იმის გამო, რომ ისინი კომინტერნის წევრები არიან. გერმანიაში ამ უკანასკნელ კვირაში საგანგებო სასამართლოების მიერ გასამართლებულ კომუნისტებს საერთო რიცხვით მიუსჯეს 21 ათასი წელიწადი ციხეში დატუსაღება. რუმინეთში კომუნისტურ კონგრესს ალყა შემოარტყეს და ყველა დელეგატები დაატუსაღეს კომინტერნთან შეერთებისათვის. შეერთებულ შტატებში კომუნისტებს აწამებენ და ამახინჯებენ. ანტიმილიტარიზმთან ბრძოლის სახით სდევნიან არა მარტო კომუნისტებს, არამედ მთავრობასთან მტრულათ განწყობილ ელემენტებსაც.

ქრონიკა

◆ **ნატურალური გადასახადი თივაზე.** მიწადმოქმედების კომისარიატის საძოვართა ქვეგანყოფილების გამგის მოხსენების თანახმად პირველის კოლეგიის დადგენილებით, მოთიბულ თივაზე ნატურალური გადასახადის ნორმათ სახაზინო მიწებიდან დაწესდა შემდეგი: ერთი მესამედი კერძო პირებიდან და ერთი მეოთხედი საზოგადო ორგანიზაციებისა და სასოფლო საზოგადოებიდან. დამზადებული თივა გადაეცემა სასურსათო სახალხო კომისარიატს.

◆ **სასკოლო სტატისტიკა.** ტფილისის სტატისტიკური ბიურო შეუდგა ანკეტის შემუშავებას სასკოლო საქმეების გამო. ანკეტის შედეგის დამუშავება დასრულდება ივლისის შუა რიცხვებისათვის.

◆ **განათლების საჭიროებისთვის.** მომარაგების საბჭომ დაადგინა განათლების საჭიროებისთვის განათლების კომისარიატის განკარგულებაში გადასცეს 40 პროც. ყველა არსებულ საკანცელარიო ნივთებისა.

◆ **საჭიროა მომღერლები.** სახელმწიფო საოპერო თეატრს ესაჭიროება მომღერალთა გუნდში მომავალ 1921/1922 წ.წ. სეზონისთვის ტენორები და ბასები. ჩაწერა შეიძლება თეატრის კანტორაში დილის 12 საათ. 2 საათამდე

ხელოვნება

◆ **დ. პავლიაშვილის სალამო.** დღეს 12 ივლისს ქართულ კლუბის ბაღში გაიმართება დ. პავლიაშვილის სალამო. ბაღში სეირნობა და ბუფეტი ნება დართულია ღამის 3 საათამდის. სალამოში მონაწილეობას იღებენ ცნობილი მწერლები, პოეტები, მსახიობნი და მომღერალთა გუნდი

ს. ფაშალიშვილის სალამო.

ხუთშაბათს, 14 ივლისს ქართული კლუბის საზაფხულო დარბაზში გამართება პოეტის ს. ფაშალიშვილის სალამო. სალამოს პროგრამა საინტერესოდ არის შედგენილი და მონაწილეობენ ტფილისის საუკეთესო ძალები. პირველ განყოფილებაში წარმოთქმული იქნება სიტყვები ქართული პოეზიის შესახებ. მეორე განყოფილებაში ალ. იმედაშვილისა და ტასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: პიესა „გამარჯვებულთა არა სჯიან“ მესამე განყოფილება შესდგება საკონცერტო და სალიტერატურო ნაწილისაგან, რომელშიაც მონაწილეობენ ბოშათა რომანსების შემსრულებელი თამარ წერეთელი, მგოსნები ი. გრიშაშვილი, ოვანეს თუმანიანი, ს. ფაშალიშვილი, ქ. გამსახურდია, მარიჯან, შ. ამირეჯიბი, ოპერის მსახიობნი ივ. სარაჯიშვილი, ა. ინაშვილი, დ. ბაკოფაშვილი და სხვანი.

აგრონომთა ყრილობა.

ეხლახან დახურულმა მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის სამაზრო აგრონომთა და სპეციალისტთა ყრილობამ მიიღო მთელი რიგი რეზოლუციები და დადგენილებანი, რომლიდანაც მოგვყავს შემდეგი. რადგანაც თესვის კომისიამ დიდი სარგებლობა მოიტანა, საჭიროდ ჩაითვალოს იმავე მიმართულება დაუტოვონ ცენტრალ და სამაზრო თესვის კომისიის მუშაობას. მოხდეს ცენტრალური და სამაზრო კომისიების რეორგანიზაცია, ამასთანავე ცენტ. კომისია ცალკე დამოუკიდებელ საუწყებათა შორისო ორგანოთ გამოიყოს, აღჭურვილი სრული ხელისუფლებითა და რწმუნებულობით ამ რეორგანიზაციის დაწვრილებით შესამუშავებლად საგანგებო კომისიის არჩევა, ცენტრალურ თესვის კომისიის შემადგენლობით სამაზრო კომისიის წევრებისგანაც. დაადგინეს აგრონომიულ სტაროსტებს დაერქვათ უმცროსი აგრონომიულ ტეხნიკოსები, თუ მიუღებული აქვთ დაბალი სასოფლო სამეურნეო განათლება ან სათანადო აგრონომიული სტაჟი. სასოფლო სამეურნეო შეკეთებული სახელოსნოები, ყრილობის აზრით, უნდა გარდაეცეს აგრონომიულ ქვეგანყოფილებას დიდი მნიშვნელობის გამო სასოფლო სამეურნეო საქმეში, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღის გასაქირავებელ ფასის საკითხის შესახებ, გადაწყვიტეს დაწესდეს ნატურით ფასის გადახდა გუთანზე, გასათიბზე, სალეწზე „ტრიერზე“ ვერმოლერის აპარატზე და სხვა, ხოლო დანარჩენი მანქანები, რომლებიც საჭიროა პროპაგანდა გავრცელებისთვის მცხოვრებთა შორის უფასოდ გაიცემა. ყრილობამ აგრეთვე დაადგინა: სასურველად სცნოს ჯიშიან საკლავ საქონლის მოშენება ბორჩალოს მაზრაში.

მიწათ-მოქმედების სახ. კ-ტის სამაზრო განყოფილებანი.

ს. ს. ს. რესპუბლიკის რევკომმა დაამტკიცა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიწად მოქმედების სამაზრო განყოფილებათა სამეურნეო ქვეგანყოფილების დებულება. დებულების თანახმად ყველა სამაზრო რევკომთან, ან მის მოადგილე ორგანოსთან არსდება მიწად მოქმედების განყოფილება, რომელიც ასრულებს მიწად-მოქმედების კომისარიატის ფუნქციებს მაზრებში, ხელმძღვანელობას უწევს მის აგრონომიულ, საბითლო და სატყეო ორგანიზაციებს, აგრეთვე განაგებს ფონდის მიწებს და საბჭოთა მეურნეობას, რომელსაც არ აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. მიწადმოქმედების განყოფილებას განაგებს კოლეგია, რომელიც შესდგება თავმჯდომარისაგან, რომელსაც ნიშნავს მიწადმოქმედების კომისარიატი და ორი წევრისაგან, რომლებსაც ირჩევს მაზრის რევკომი. სასოფლო სამეურნეო ქვეგანყოფილებას ევალება განახორციელება ყველა მაზრის მცხოვრებთათვის საჭირო აგრონომიული დახმარების, მაგალითად: მოწყობა: საჩვენებელი მინდვრის, ნაკვეთის, გლეხური ტიპის მეურნეობის, ბაღების და ბოსტნის, ხეხილების საცდელთა და ვენახის დამყნის საჩვენებელ პუნქტების, მარცვლის საწმენდ გადასახადის, სახალხო სამეურნეო მანქანების საწყობების და სხვ. მაზრები იყოფა საგრონომიო რაიონებათ და სამაზრო რევკომებთან უნდა იქნეს მოწვეული ყრილობები აგრონომიულ ზომების შესათანხმებლად, ადგილობრივი მოთხოვნილების მიხედვით და აგრეთვე აგრონომიული სამუშაოსთვის ფართო მასის მოსაზიდავათ.

ბრძოლა ეპიდემიასთან

ხოლერის მსვლელობა თბილისი

5 ივლისის დილის 9 საათიდან 6 ივლისის დილის 9 საათამდე ავათ გახდა 22 კაცი ამათგან გარდაიცვალა 3 კაცი.

28 ივნისს მიღებულ ავათმყოფთაგან

5—ივლისს გარდაიცვალა	— 1	კაცი.
4— — —	2	—

გაწერილ იქმნენ

14 ივნისის მიღებული ავათმყოფთაგან

5 ივლისს	1	კაცი
22	1	—
23	1	—
26	1	—

ხოლერის ვიბრიონები არ აღმოჩნდა:

29 ივნისის ავადმყოფ.	1	კაცი
2 ივლისის	1	—
4	1	—

განაწილება უბნებზე

1—უბანში	3 (13. 7 პროც.)
2	0
3	0
4	0
5	0
6	0
7	0
8	0
9	0
10	0
11	1—(4, 5 პროც.)
12	1—(4 6 პროც.)
13	0
14 გამოურკვეველი	16 (72, 7 პროც.)

კატეგორია საერთო ავადმყოფთა

მუშა	1 (4 5 პროც.)
დიასახლისი	3 (13 7 პროც.)
უსაქმო	5 (22. 7 პროც.)
წითელი არმიელი	13 (59. 1 პროც.)

ს ა დ ა უ რ ი ა

თბილისელი	21 (95. 5 პროც.)
თბილ. გარეთ მცხ.	0
მეზობელ რესპუბლიკელი	1 (4. 5 პროც.)
რუსეთიდან ჩამოსული	0
გამოურკვეველი	0

წ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა.

1 წლ. 20 წლ.	4 (18, 2 პროც.)
21 წლ. 25 წლ.	11 (50 50 პროც.)
26 30 —	2 (9. 1 პროც.)
31 40 —	2 (9. 1 პროც.)
41 50 —	1 (4. 5 პროც.)
51 50 —	1 (4. 5 პროც.)
61 61 —	1 (4. 6 პროც.)

ე რ ო ვ ნ ე ბ ა.

ქართველი	2 (9. 1 პროც.)
რუსი	11 (50 პროც.)
სომეხი	9 (40. 9 პროც.)

დ ა ს კ ვ ნ ა.

ამ დღის განმავლობაში ავათ გახდა სულ 22 კაცი.

აქედან გარდაიცვალა 3 (13. 6 პროც.)

ცენტრალურ უბნებში გახდნენ ავათ 4 (18 2 პროც.)
განაპირა უბნებში 16 (72, 7 პროც.)

ხოლერის მსვლელობა თბილისში.

ივნისის 12 დან 1 ივლისამდე ავათ გახდა 68 კაცი. ვიბრიონები აღმოჩნდა 7 კაცს. გარდაიცვალა 13, გაეწერა 2.

განაწილება უბნებზე:

1 უბანში—0, 2 უბ.—5 3 უბ.—3, 4 უბ.—6,—5,8 პროც. 5 უბ.—2, 2. 3 პროც. 6 უბ.—8,—9,1 პროც. 7 უბ.—10—11,4 პროც 8 უბ.—2.—2,3 პროც. 9 უბ.—5—5,6 პროც. 10 უბ.—6—6,8 პროც. 11 უბ.—2,—2 3 პროც. 12 უბ.—6,—6,8 პროც. 13 უბ.—1,—1,1 პროც. 14, გამოურკვეველი 32,—36,4 პროც.

კატეგორია საერთო ავათმყოფთა.

კვალიფიციური მუშა—3, 3,4 პროც შავი მუშა—9,—10,2 პროც. მოსამსახურე 4,—4,6 პროც. წითელი არმიელი—22,—25,0 პროც. დიასახლისი—16,—18,2 პროც. ვაჭარი—1,—1,1 პროც. სოფლის მეურნე 7,—7,9 პროც. ხელოსანი მესაკუთრე—1,—1,1 პროც. მომვლელი ქალი—4—4,6 პროც. უსაქმო—10—11,4 პროც. გამოურკვეველი 11,—12,5. პროც.

სადაურია ხოლერით ავათმყოფი.

თბილისელი—48,—54,6 პროც. რუსეთიდან ჩამოსული—25, 28,4 პროც. მეზობელ რესპუბლიკიდან—8—9,1 პროც. თბილისის გარეთ მცხოვრები 5,—5,6 პროც. გამოურკვეველი 2,—2,3 პროც.

წლოვანება.

1—20 წლ.—24,—27 3 პროც. 21—25 წლ.—15,—17,1 პროც. 26—30 წლ.—11, 12,5 პროც. 31—40 წლ.—12,—13,6 პროც. 41—50 წლ.—10,—11,4 პროც. 51—60 წლ.—9,—10,2 პროც. 61—90 წლ.—6, —6,8 პროც. გამოურკვეველი—1,—1,1.

ე რ ო ვ ნ ე ბ ა.

ქართველი 19,—21,6 პროც. რუსი—34—38,7 პროც. სომეხი 21,—23,9 პროც. თათარი—4,—4,5 პროც. ებრაელი—1 —1,1 პროც.

დ ა ს კ ვ ნ ა:

ივნისის 12-დან 1 ივლისამდე ავათ გახდა ხოლერით სულ 88 კაცი, აქედან ვიბრიონები აღმოჩნდა 7, გარდაიცვალა 13 და გაეწერა 2 კაცი. ცენტრალურ უბნებში გახდა ავათ—27 კაცი—30,7 პროც. განაპირა უბნებში გახდა ავათ—61,—69,3 პროც

სტატისტიკური განყოფილება.

ტფ. მაზრის სამხედრო კომისარიატში

დღეს ყველა, ვისაცკი შერჩენია ცოტათი მაინც ცხოვრების უნარი, ჩაბმულია პოლიტიკურ ბრძოლის ფერხულში არა მგონია თფილისში მოიპოვებოდეს ისეთი სამხედრო ორგანიზაცია, რომ შიგ არ იყოს გაჩაღებული პარტიული მუშაობა. მაგრამ საუბედუროთ ჩვენდა თფილისის მაზრის სამხედრო კომისარიატი კი ყოველივე ცხოვრების წინმსვლელობას ჩამორჩენილია, მეხუთე თვეა, რაც საქართველოში დაემხო გამყიდველ მენშევიკების მთავრობა და ხალხმა თავისუფლათ ამოისუნთქა, პირველი დღიდან გაჩაღდა ყოველგან პარტიული მუშაობა, მოეწყო იჩეიკები, პროფკავშირები, სამკითხველოები და სხვა, მაგრამ ჩვენს ამხანაგებს, სამხედრო კომისარიატის წითელ ლაშქრელებს სძინავთ.

ჩამოვრჩით საერთო საქმიანობას და დღეს დიდი ენერგიული შრომაა საჭირო, რომ ჩვენ, შეცდომა გავასწოროთ და დავეწიოთ ჩვენს ამხანაგებს პარტიულ მუშაობაში. კვირას, 23 ახალი სამხედრო კომისარი ამხ. კობიძის ინიციატორობით გამართა საერთო კრება ყველა თანამშრომელთა და წითელ ლაშქრელთა, სადაც ამხ. კობიძემ გააკეთა მოხსენება მომენტზე, წითელ ლაშქრის მნიშვნელობაზედ და სხვა. გამოტანილი რეზოლუცია მთავრობის და წითელი ლაშქრის მიმართ. მისალმებისა კრებაზე იქმნა განხილული ბევრი საჭირბოროტო სერიოზული კითხვები. ამავე დღეს მოეწყო კომ იჩეიკა 5 პარტიული წევრისა და 4 თანამგრძნობელისაგან, რომელმაც უკვე სამი დღის მუშაობით მოაწყო სამკითხველო, და პარტიული მაცადინეობა წითელ არმიელებში, ამ დღეებში მოეწყობა სკოლა წერა კითხვის არა მცოდნეთათვის.

სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ ძლიერ შეფერხება არსებობს პარტიული მომუშავეთა სიმცირის გამო. საჭიროა ამას ცენტრმა მიაქციოს ყურადღება.

გოგიტო ციმბირელი.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფს. ბჭოს საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილებაში.

პროფსაბჭოს საორგ-საინსტრ. განყოფილება გადატრიალების უმალ შეუდგა დათხოვნილ კავშირების აღდგენას. მოხდა ყველა ყოფილი კავშირის რეორგანიზაცია და გაერთიანებულ იქმნენ 19 წარმოებით კავშირად, რომელიც ითვლის 15,000-ზე მეტს კაცს. ინსტრუქტორების მოსამზადებლად, გახსნილ იქნა მოკლე ვადიანი კურსები. ინსტრუქტორები დაიგზავნენ პროვინციებში კავშირების მოსაწყობათ. კავშირები დაარსდა საქართველოს თით-

ქმის ყველა კუთხეში. არსებობს აგრეთვე რაიონული პროფსაბჭოები: ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, და მაზრის პროფბიუროები: ახალციხეში, ზესტაფონში, ხაშურში, გორში, დუშეთში, ბორჩალოში, სიღნაღში, თელავში და ოზურგეთში და სამტრედიაში: ლანჩხუთში, ბორჯომში. განყოფილებამ ყველა ადგილებში მოაწყო კონფერენციები, ყრილობები, თათბირები და სხ. ყველგან ეჩნევა გამოცდილ პროფმუშაკთა ხელობა.

პროვინციაში

ხორშის თემი

(ზუგდ. მაზრა).

ბევრი ხანია მას შემდეგ, რაც ხორშის თემის მშრომელნი მიესწრაფებოდნენ ცხოვრების გაუმჯობესებას, უნდოდათ დაარსებულიყო საავადმყოფო. სამეურნეო სკოლა და გზები შეკეთებულიყო, მაგრამ ნიკოლოზის მონარქიულმა მთავრობამ და მერმეთ მენშევიკების ბატონობამ ვერ აღასრულა ეს ბედნიერება ხორშის მშრომელ ხალხს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მისცა ხალხს შვება და თავისუფლება. ეხლა საშუალება მიეცათ შეუდგომოდნენ აღმშენებლობას და ცხოვრების გაუმჯობესებას. რადგან ზუგდიდი რამოდენიმე ათეული ვერსის მანძილზე იყო და დიდად ეძნელებოდათ ზუგდიდთან მიმოსვლა, სამ-ოთხი მდინარეები(ს) ელობებოდა, ამის გამო ზუგდიდის მაზრას გამოეყვნენ და შეუერთდნენ სენაკის მაზრას, გახსნეს საავადმყოფო და სამეურნეო სკოლა, შეუდგნენ გზების შეკეთებას. საერთოდ აქ საზოგადოებრივი მუშაობა გაჩაღებულია და ცხოვრება წინ მიემართება.

თადეოზი ტაბაღუა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ.

რათა რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას საშუალება მიეცეს მიიღოს თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში შეგნებული მონაწილეობა, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. რესპუბლიკის ყველა, წერა-კითხვის უცოდინარი, მცხოვრები, ჰასაკით 14-დან 50 წლამდე, ვალდებულია შეისწავლოს წერა-კითხვა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიის მიერ დაარსებულ სკოლაში.

როგორც არსებულ, ისე ახლად დაარსებულ სახელმწიფო სკოლებში წერა-კითხვის უცოდინარ მცხოვრებთა სწავლება სწარმოებს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებულ გეგმის მიხედვით.

შენიშვნა: ამა მუხლის მოქმედება ვრცელდება წითელ არმიელებზედაც; ამასთანავე სამხედრო ნაწილებში სათანადო მუშაობა სწარმოებს წითელი არმიის პოლიტიკურ განყოფილებათა უახლოეს მონაწილეობით.

2. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საერთო გეგმის ადგილობრივ იმუშავებენ სახალხო კომისარიატის ორგანოები ორი თვის განმავლობაში დღიდან ამა დეკრეტის გამოქვეყნებისა.

3. სახალხო განათლების კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს უფლება ეძლევათ გაიწვიონ, შრომის ბეგარის წესისამებრ, წერა-კითხვის უცოდინართა სწავლებისათვის, ყველა წერა-კითხვის მცოდნე მოქალაქეი, რომელნიც ჯარში არ მსახურობენ; უკანასკნელთ მიეცემათ გასამრჯელო განათლების სფეროში მომუშავეთა ჯამაგირების ნორმის მიხედვით.

4. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ წარმოებულ მუშაობაში უახლოეს მონაწილეობის მისაღებად განათლების სახ. კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები იწვევენ შრომის ყველა ორგანიზაციებს, როგორიც არიან: პროფესიონალური კავშირები, კომუნისტურ პარტიის ადგილობრივი იაჩეიკები, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი, ქალთა შორის მომუშავე კომისიები და სხვ.

5. ყველა დაქირავებულ მომუშავეებს, გარდა მილიტარულ წარმოებებში მომუშავეთა, რომელიც გაწვეული იქნება წერა-კითხვის შესასწავლად, სამუშაო დღე შეუმცირდება ორი საათით, ხოლო სამუშაო ხელფასი მიეცემა სრულიად.

6. განათლების სახ. კომისარიატის ორგანოებს უფლება ეძლევათ გამოიყენონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, როგორც არსებული სკოლები, ისე სხვა შესაფერი შენობები.

7. მომარაგების ხასიათის ორგანოებს ევალებათ—წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციოდ დაწესებულებათა მოთხოვნილებას დაკმაყოფილებას მისცენ უპირატესობა სხვა დაწესებულებებთან შედარებით.

8. ყველა, ვინც გაუხვევს ამ დეკრეტით დაწესებულ ბეგარას და ხელს შეუშლის წერა-კითხვის უცოდინართ სკოლაში იარონ, მიეცემა სისხლის სამართალის პასუხისმგებლობას.

9. განათლების სახალხო კომისარს ევალება ორი კვირის განმავლობაში გამოსცეს ინსტრუქცია ამ დეკრეტის განხორციელების შესახებ.

10. ზემო აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლად არსდება საგანგებო კომისია—საქართველოში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისა, რომელსაც ადგილობრივ ეყოლება თავისი ორგანოები.

11. სამთ. კომისიების წევრებს, განათლების ორგანოების მიერ არჩეულთ, ამტკიცებენ რევოლ. კომიტეტები.

12 კომისიები განსახიერებენ უფლებამოსილ აპარატს განათლების სახ. კომისარიატისას.

13 რესპუბლიკაში წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მთელი მუშაობა უნდა დასრულდეს რაც შეიძლება მოკლე დროს.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

განათლების სახალხო კომისარი ა. თუმანიშვილი.

რევოლიუციონური კომიტეტის
მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივლისის 4.
თბილისი სასახლე.

დადგენილება

პოლიტიკური განათლების მთავარი კომიტეტის შესახებ.

1. საქართველოს რესპუბლიკის მოზრდილ და მოზარდ მოქალაქეთა შორის პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის წესიერად და ფართოდ მოსაწყობად, განსაზღვრულ გეგმასთან შეთანხმებით, აგრეთვე, რათა ამ მუშაობას არ შექონდეს შინაურული ხასიათი და მოსპობილ იქნეს ყოველგვარი პარალელიზმი, რომელიც ჰბადებს ცოცხალ ძალთა და ნივთიერ საშუალებათა უშინაარსო ხარჯვას,—განათლების სახალხო კომისარიატთან არსდება პოლიტიკური განათლების მთავარი კომიტეტი.

ეს კომიტეტი ხელმძღვანელობს მთელ პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობას სკოლის გარეშე ხასიათისას.

2. სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებებთან არსდება პოლიტიკურ-განმანათლებელი განყოფილება, რომელიც აერთიანებს და დებულებაში აღნიშნულ ორგანიზაციების მთელ პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობას.

3. პოლიტიკურ განათლების მთავარ კომიტეტის საორგანიზაციო გეგმის ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარი, რომელიც უწევს მას კონტროლს და შეათანხმებს მის მუშაობას განათლების სახალხო კომისარიატის სხვა ორგანოების მუშაობასთან.

4. პოლიტიკურ განათლების მთავარ კომიტეტის სათავეში სდგას შვიდი წევრისაგან შემდგარი კოლეგია, რომელსაც ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარი. კოლეგიის წევრნი განაგებენ პოლიტიკურ განათლების მთავარ კომიტეტის განყოფილებათ.

შენიშვნა: კოლეგიის წევრთა შორის შედიან სამხედრო განყოფილების და პროფესიონალურ სექციის გამგენი. პირველი მათგანი ინიშნება საქ. არმიის პოლიტიკურ განყოფილების მიერ, მეორეს ჰნიშნავს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

5. პოლიტიკურ განათლების მთავარ კომიტეტისა და პროფესიონალური კავშირების საბჭოს და საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კულტურულ განმანათლებელ განყოფილებათა დამოკიდებულება უნდა იყოს დამყარებული ურთიერთ შეთანხმებაზე და იმ პრინციპზე, რომ პოლიტიკური განათლების მთავარი კომიტეტის სათანადო ორგანოები გაატარებენ ზემოხსენებულ განყოფილებათა პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობას. ამასთანავე ეს განყოფილებანი თავიანთ მიზნისათვის ისარგებლებენ მთავარი კომიტეტის აპარატს და ძალებს.

6. საქართველოს წითელი არმიისა და ფლოტის პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობას განაგებს და ხელმძღვანელობს პოლიტიკური განათლების მთავარი კომიტეტი. ამ მიზნისათვის იგი მოაწყობს სამხედრო განყოფილებას, რომელიც შეუთანხმებს თავის მუშაობას საქართველოს წითელი არმიის პოლიტიკურ განყოფილების მუშაობას.

7. პოლიტიკურ განათლების მთავარი კომიტეტი განახორციელებს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს პოლიტიკურ განმანათლებელ სამუშაოს.

8. ამ დებულების გამოქვეყნებისთანავე, ყოველი კულტურულ განმანათლებელი საზოგადოება და დაწესებულება (წიგნთ-საცავები, კლუბები, დრამატიული წრეები და სხვ), ვის განკარგულებაშიც უნდა იყოს იგი, მოვალეა მოახდინოს თავის თავის რეგისტრაცია პოლიტიკურ განათლების მთავარი კომიტეტის სათანადო განყოფილებაში და შევიდეს რესპუბლიკის საერთო სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ქსელში, რომელნიც სკოლის გარეშე ხასიათისანი არიან.

9. პოლიტიკურ განათლების დაწესებულებათა ქსელის დამტკიცების შემდეგ, ყველა,—სკოლის გარეშე ტიპის,—დაწესებულება მიიღებს ფინანსიურ საშუალებას პოლიტიკური განათლების მთავარ კომიტეტისაგან განათლების სახალხო კომისარის მიერ დამტკიცებულის ხარჯთ აღრიცხვით.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
განათლების სახალხო კომისარი ა. თუმანიშვილი.
საქართველოს რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივლისის 7-ს.
ტფილისი—სასახლე.

დებულება.

პროფესიონალ მომუშავეთა მომზადებისა და პროფესიონალური განათლების მთავარ კომიტეტის შესახებ.

1. პროფესიონალ მომუშავეთა მომზადებისა და პროფესიონალური განათლების მთავარი კომიტეტის ძირითად მიზანს შეადგენს—მომზადება რესპუბლიკისათვის საჭირო მომუშავეთა საკმაო რიცხვისა ცხოვრების ყოველ გვარი სფეროსათვის (წარმოებისა, სასოფლო მეურნეობისა, მმართველობისა, სწავლა განათლებისა, ჯანმრთელობის დაცვისა, ხელოვნებისა და სხვ.) მთავარი კომიტეტი განაგებს აგრეთვე რესპუბლიკის ყველა პროფესიონალურ სკოლებს, მათ შორის უმაღლესსაც.

2. ამ მიზნის მისაღწევად მთავარი კომიტეტი: ა) ანხორციელებს უმაღლეს და სპეციალურ განათლების რადიკალურ რეფორმას, რომელსაც შეუთანხმებს სოციალისტურ წესწყობილებაზე გადასვლას. მოიხმარს ყოველგვარ ღონისძიებას, რათა უმაღლესი და სპეციალური განათლება გავრცელებულ იქნეს პროლეტარულ მასებში, აარსებს მუშათა ფაკულტეტებს, სადამოს ტეხნიკუმებს მუშებისათვის და სხ., სადაც მუშები პირველ რიგში მიიღებიან. ბ) აარსებს და აგრეთვე, უშუალოდ თავის ადგილობრივი ორგანოების თანამშრომლობით, განაგებს და ხელმძღვანელობს შემდეგი ტიპის სასწავლებლებს: 1) უმაღლეს სამეცნიერო სასწავლო სკოლებს—მუშათა ფაკულტეტებით, 2) სხვა და სხვა დარგის ტეხნიკუმებს რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში მისცემენ ხუთმეტ წლის შესრულებულ მოქალაქეთ სპეციალურ მომზადებას, პოლიტიკურ აღზრდას და საერთო განათლებას პოლიტიკურ ნიადაგზე, 3) მოკლევადიან მოსამზადებელ სპეციალურ კურსებს, დაარსებულ მომენტის საჭიროების მიხედვით, 4) მუშებისათვის ფაბრიკებთან არსებულ კურსებს, პროლეტარიატის საერთო სასწავლო-სატეხნიკო ზეგარის განსახორციელებლად და 5) სკოლებს ფაბრიკა-ქარხნების შეგირდებისათვის.

3. მთავარი კომიტეტი შედის სახ. განათლების კომისარიატის შემადგენლობაში ერთ-ერთ მთავარ სამმართველოს სახით, სხვა სამმართველოებისთვის საერთო წესისამებრ.

4. უმაღლესი სკოლების და ტეხნიკუმების რეფორმისა და მათი მოღვაწეობის საერთო მიმართულების უმთავრეს საკითხებს გადაწყვეტს აკადემიური ცენტრი, ამ უკანასკნელის შესახებ არსებული დებულების თანახმად,—გადაწყვეტილებანი აღსასრულებლად გადაეცემა მთავარ კომიტეტს.

5. მთავარი კომიტეტი არის კოლეგია, რომლის თავმჯდომარე შედის სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიის წევრთა შემადგენლობაში.

კოლეგიის არსებობა არ ანთავისუფლებს კომიტეტის თავმჯდომარეს პირადი პასუხისმგებლობისაგან.

6. მთავარ კომიტეტის კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი განათლების სახალხო კომისარის წარდგენით. კოლეგიის შემადგენლობაში შედის აგრეთვე თვით წარმომადგენელი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისა და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოსი.

7. მთავარი კომიტეტის განყოფილებანი განაწილდება შემდეგ ჯგუფებად (სექტორებად): 1) საპედაგოგიო განათლების და სოციალურ-ეკონომიურისა, 2) ინდუსტრიალურ-ტეხნიკურისა, 3) სასოფლო-მეურნეობისა, 4) სამედიცინოსა, 5) სამხატვროსა, 6) მუშათა ფაკულტეტისა და მუშათა პროფესიონალურ განათლების განსაკუთრებული განყოფილებისა (პროლეტარიატის სასწავლო-სატეხნიკო ზეგრის განხორციელების) და 7) საერთო განყოფილებისა.

8. კომიტეტის წევრები, გარდა თავმჯდომარისა, ინაწილებენ ურთიერთ შორის სექტორების ხელმძღვანელობას.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.
განათლების სახალხო კომისარის
მოადგილე ა. თუმანიშვილი.
რევოლიუციონური კომიტეტის
მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივლისის 7.
ტფილისი—სასახლე.

პურის და სიმინდის გამოტანის შესახებ.

1921 წ. 24 მაისის დადგენილების დასადასტურებლად, დასამატებლად და შესაცვლელად სახალხო სასურსათო კომისარიატი აცხადებს:

1. გორისა და სიღნაღის მაზრებიდან 3 ფუთამდის პურსა და ხორბლეულობის თავისუფლად, უნებართვოთ და ურეგისტრაციოთ გაზიდვა ყველასათვის ნებადართულია, ამაზე მეტის გატანა კი აკრძალულია-იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე დადგენილების 5 და 6 მუხლში.

2. ოზურგეთის მაზრიდან პურისა და ხორბლეულობის გატანა კერძო პირთათვის საგზებით აკრძალულია. ამ მაზრიდან 3 ფუთამდის ხორბლეულობის ან პურის გატანის ნება, მე-5 მუხლში აღნიშნული პირების გარდა, ეძლევათ მხოლოდ იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთაც აქვთ წარმოების, და წესებულების ან პროფესიონალურ კავშირების მოწმობა მათი სამსახურში ყოფნის შესახებ და რომლებიც ამას გარდა სათანადო სარეგისტრაციო სიებში ჩაწერილებიან.

ა) ლანჩხუთის, ჯუმათის, ნიგოითის, სუფსის და საჯავახოს რაიონებიდან სურსათის გამოტანის დროს მყიდველები (მუშები და მოსამსახურეები) ღებულობენ სათანადო ნებართვებს ლანჩხუთში, ჯუმათში, ნიგოითში, სუფსაში და საჯავახოში სამაზრო სასურსათო კომიტეტის რწმუნებულებიდან. მოწმობებს ბეჭდის დასმით ადასტურებენ ადგილობრივ რევკომები.

ბ) ნატანების და ქობულეთის რაიონებიდან სიმინდის და ხორბლეულობის გამოტანის დროს მყიდველები (მუშები და მოსამსახურეები) უნდა ჩაეწერონ სამაზრო სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელთან და მან უნდა მისცეს მათ ნატანების რევკომის მიერ ბეჭედდასმული მოწმობა.

3. ტყვიბულის რაიონიდან პურისა და ხორბლეულობის, და აგრეთვე სხვა ყოველგვე სახის სურსათ სანოვაგის გამოზიდვა კერძო მყიდველებისათვის ყოველივე რაოდენობით სავსებით აკრძალულია. იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია აქვე მე 5 ე და მე 6 ე მუხლში. ამ რაიონიდან 3 ფუთამდის სურსათის გატანის ნება ეძლევა იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც თანა აქვთ წარმოების, ან დაწესებულების და ან პროფესიონალურ კავშირის მოწმობები მათი სამსახურში ყოფნის შესახებ და რომლებიც ჩაწერილებიან ტყვიბულის მუშათა კოოპერატივის გამგეობის სარეგისტრაციო სიაში.

4. პურისა და ხორბლეულობის გატანა საქართ. სოციალისტ. საბჭ. რესპუბლიკის ყველა დანარჩენ მაზრებიდან და ადგილებიდან ყველა მოქალაქეთათვის სრულიად თავისუფალია: რაოდენობა არ ისაზღვრება და გამოზიდვისათვის არავითარი ნებართვა არ არის საჭირო.

5. აკრძალვა ან შეზღუდვა პურის და ხორბლეულობის გამოზიდვისა არ ვრცელდება მუშებზე, მოსამსახურეებზე, პროფკავშირების უმუშევარ წევრებზე და სოფლის მეურნე გლეხებზე, რომლებსაც ეს სურსათი მიაქვთ იმ ადგილას, სადაც მუდმივ სცხოვრობენ, თუ ეს სურსათი:

ა) მოყვანილია მიმდინარე წელს მათ საკუთარ ან მათ მიერ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთებიდან, რომლებიც დამუშავებულია ამ პირთა ან მათი ოჯახის წევრების მხოლოდ პირადი შრომით, დაქირავებული შრომის ყოველივე სახით გამოუყენებლათ, ან

ბ) თუ იგი მიღებულია როგორც შრომის ხელფასი სოფლის მეურნეობაში ქირით მუშაობისათვის:

შენიშვნა: მიწის დამუშავება თავის სოფლელების შემწეობით ურთიერთის დახმარების პრინციპის საფუძველზე იმ პირობით, რომ მიწის მფლობელი ან და არენდატორი მონაწილეობას მიიღებს მათ მიწის დამუშავებაში, არ ითვლება დაქირავებულ შრომის გამოყენებათ.

6. პურისა და ხორბლეულობის თავისუფლად და დაუბრკოლებელი გამოზიდვა მე 5 ე მუხლის თანახმად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ იმ პირს, რომელსაც სურსათი გამოაქვს, აქვს ნებართვა სათანადო (ადგილმდებარეობის მიხედვით) თემის რევკომისა, სადაც აღნიშნულია მიწის ადგილმდებარეობა და სიდიდე და [illegible] რებულია, რომ ყველა [illegible] აღნიშნული პირობა [illegible].

თფილისი ივლისი 1921 წ.

სახალხო სასურსათო კომისარის მაგიერ ა. ერქომაიშვილი.

დამამზადებელ სამმართველოს უფროსი კოლეგიის წევრი ელერდოვი.

საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი მელხარსკი.

ბრძანება № 73

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით, საქართველოს რევკომის მდივანს ამხ. შ. გაბრიჩიძეს მიეცა ერთი თვის შვებულება.

ამხ. გაბრიჩიძეს შვებულების დროს საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის მდივნად დაინიშნა ამხ. ალ. ხალაიძე.

საქართ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომ. თავმჯდომარე ბ. მდივანი.

მთავრობის საქმეთა მმართველი ი. წივწივაძე.

1921 წ. ივლისის 9.
თფილისი-სასახლე.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი [illegible] რუსთაველის პრ., № 22,

— საქ. კომპარტიის [illegible] კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22, ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 136, [illegible] „[illegible]“ ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. № 87, ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—[illegible] ბაზარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—12.

მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ [illegible] რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

პარტიული

მე 4 რაიკომის პრეზიდიუმი ამით აუწყებს მე 4 რაიკომის კომ იაჩეიკების მდივნებს და პასუხისმგებელ ხელმძღვანელთ, რომ სამშაბათს სღ. 6 საათზე რაიკომის დარბაზში (ოდლის ქ. № 23) მოხდება თათბირი ყველა კომიაჩეიკების მდივნებისა და პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა მე 4 რაიონისა. დასწრება ყველა ამხანაგებისათვის სავალდებულოა.

პრეზიდიუმი მე 4 რაიკომისა აუწყებს მე-4 რაიკომის ყველა საბჭოთა დაწესებულებებს, რომ იმ დაწესებულებას, რომელსაც სურს მოაწყოს შაბათობა ადგილობრივად დასჭირდებათ მუშათა ხელი, 5 დღით ადრე ასეთები უნდა გამოითხოვონ რაიკომიდან.

სხვა და სხვა

დღეს, სამშაბათს 12 ივლისს, საღამოს 6 საათზე ყოფილ პირველ გიმნაზიის შენობაში შესდგება თბილისის ქართველ ქალთა საზოგადო კრება. შესავალი საკრებულო ტაძრის მხრიდან,

— —

სიღნაღის მაზრის და ქალაქის მილიციის შტაბი ამით იწვევს სამსახურში მსურველთ შემდეგ თანამდებობაზე:

1. სამნეო ნაწილის უფროსისა, ბუღალტერის ხაზინადარისა, საქმის მწარმოებლისა და კანცელარიის მოხელეებისა. აგრეთვე საჭირო არიან უფროსი და უმცროსი მილიციონერები ქალაქის და რაიონის მილიციებში. მსურველთ სათანადო რეკომენდაციით უნდა მიმართონ ქ. სიღნაღში მაზრის და ქალაქის მილიციის შტაბში.

ახალგაზრდა კომუნისტთა ყრილობა

ს. ა. კ. კ. ც. კ. აუწყებს ს. ა. კ. კ.-რის ყველა ორგანიზაციებს, რომ ა. წ. 20 აგვისტოს მოწვეულ იქნება საქართველოს ა. კ. კ-რის ყრილობა დღის წესრიგი: 1. მიმდინარე მომენტი. 2. მოხსენება ახალგაზრდათა ინტერნაციონალის 2 ე კონგრესის შესახებ. 3. ც. კ.-ის მოხსნება. 4. საორგანიზაციო აღმშენებლობის მორიგი ამოცანები. 5. სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობა. 6. რ. ა. კ. კ. მე 4-ე ყრილობა. 7. ხასექციო მუშაობა. 8. ც. კ.-ას. არჩევნები.

ს. ა. კ. კ. ც. კ.

თბილისის სახალხო განათლების განყოფილება

იწვევს სპეციალისტებს საბავშვო სახლების, ახალშენების, ბავშვთა ბაღების და მოედნების ორგანიზაციისათვის. საჭიროა აგრეთვე ექიმები, მხატვარ-აღმზრდელნი, პედაგოგები ზნეობრივ ნაკლიან ბავშვთათვის; გამოცდილი გა[illegible] ბისა ბავშვთა სახლებში, გამოცდილი გამგე სახელოსნოებისა, [illegible] ლოსნობის შესასწავლათ (მებაღეობისა, დურგლობისა [illegible] ძლიერ საჭიროა ხალხი, რომელთაც იციან საბავშვო [illegible] მიდრეკილება ამ პროფესიისადმი.

მისამართი: განოვის ქ. № 3

ჟურნალი „ლახვარი

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმო[illegible] ლი „ლახვარი“.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ გან[illegible] ციო განყოფილებაში (ლოთის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 10,000

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 4.